F 939N 9010

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს და შაბათს

№35 (1545) 12–15 აპრილი, 1997 წელი

ეს უნიკალური მასალა, რომელსაც რუსეთის სპეცსამსახური ამზადებს და თავის უწყებებს გასაიდუმლოებულად უგზავნის, მოსკოვში ხელთ ჩაიგდო ერთ-ერთმა ქართველმა სამხედრომ და რედაქციას გადმოსცა.

ვფიქრობთ, ქართველი მკითხველი მნიშვნელოვან ინფორმაციას მიიღებს იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობს რუსეთის დაზვერვა ჩვენს ყოველ ნაბიჯს.

ულტიმატუმი აფხაზეთში?

რუსეთის სპეცსამსახურები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ

დაძაბულობა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ნარჩუნდება და სულ უფრო და უფრო რთულ, ჩიხურ, ორივე მხარისათვის გადაუჭრელ (გარედან ჩარევის გარეშე) ხასიათს იძენს.

რუსეთი ჯერ კიდევ ინარჩუნებს გადამწყვეტ როლს მისთვის ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან (უფრო მნიშვნელოვან, ვიდრე ტაჯიკეთი, დნესტრისპირეთი და ბალკანეთია) რეგიონში, მაგრამ მისი ეროვნული ინტერესებისთვის არაპროდუქტიული და გაურკვეველი პოლიტიკის შედეგად, თანდათანობით კარგავს მოვლენების განვითარებაზე კონტროლს და ველარ ახდენს მათზე გავლენას.

მიუხედავად ამისა, დაპირისპირებულ მხარეთა შორის მშვიდობის მხარდამჭერი რუსული სამხედრო ნაწილების ყოფნა გალის რაიონის უსაფრთხოების ზონაში მშვიდობის მთავარ გარანტს წარმოადგენს. მათი წყალობით, რაიონში დაბრუნდა 73 ათასამდე ადამიანი (ომამდელი რაოდენობის 75%), მუშაობს 22 სკოლა, მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის (ენერგომომარაგება, სატრანსპორტო კომუნიკაციები, კავშირგაბმულობა და სხვა) აღდგენა.

ორივე მხარე გაძლიერებით ემზადება ომისთვის: საქართველო – თავდასხმითი ოპერაციისთვის, აფხაზეთი – თავის დასაცავად. განაცხადა რა თავის უფლებაზე, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ძალისმიერი გზით აღადგინოს, საქართველოს ხელისუფლება ყველა ღონეს მიმართავს საკუთარი შეიარაღებული ძალებისა და სხვა ძალისმიერი სტრუქტურების შესაქმნელად და გასაძლიერებლად, ძირითადად უცხოური კრედიტების ხარჯზე.

ხდება ქართული პოლიტიკური ელიტის ორიენტაციის შეცვლა ნატოს სტრუქტურებთან სტრატეგიული პარტნიორობისა და მოკავშირეობის მიმართულებით. ამასთან, არ ხდება იმის გათვალისწინება, რომ ნატოს ხელმძღვანელობა ამიერკავკასიაში თავის პოლიტიკაში თურქეთის სპეცსამსახურების საინფორმაციოსადაზვერვო მონაცემებს ეყრდნობა, ხოლო თურქეთის ინტერესები ამიერკავკასიაში პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთისა და საქართველოს ინტერესებს.

თურქეთი აცხადებს, რომ მზად არის

2

კახა თარგამაძე:

ადამიანის სისხლის დაღვრა მათთვის იგივეა, რაც ნებისმიერი სხვა მოქალაქისთვის წყლის გადაქცევა...

საუბრობენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი
კახა თარგამაძე
და გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ნ.გ. – *ჯაბა იოსელიანს არასოდეს უთხოვია პრეზიდენტთან შეხვედრა?*

კ.თ. – ჯაბა იოსელიანს არასოდეს უთხოვია. ჯ.იოსელიანს შეწყალების თხოვნა არ დაუწერია. სხვა პირებს ჰქონდათ განცხადებები დაწერილი. ერთი რამე უნდა იყოს საზოგადოებისთვის ცნობილი – როდესაც ტერაქტი კეთდება, ამის შესახებ არც დოკუმენტს ადგენენ და არც ოქმს, რომ ამას ჩვენ ჩავდიოთ და დეკლარაციას გთავაზობთო.

ნ.გ. – *ბ-ნო კახა, თქვენ წინა საუბარში აღნიშნეთ, რომ ჩვენებების მიღება ემყარება იმას, რომ ოპერატიული მუშაობა პროფესიონალურად წარიმართა და აქედან გამომდინარე, ზეწოლის გარეშე მიიღეთ ჩვენებები, არადა ერთ-ერთი პატიმარი, ტერაქტში ბრალდებული, გახლავთ ჯ.იოსელიანი, რომელსაც დაკითხვების გამოცდილება მიღებული აქვს, მრავალგზის არის ნასამართლევი და ამდენად, მასთან მუშაობა ადვილი არ უნდა ყოფილიყო გამომძიებლისთვის. ასე რომ, – თქვენ გყავთ, როგორც იტყვიან, „შავ სამყაროში“ გამოცდილი კაცი პატიმრად, მეორეს მხრივ კი, კაცი, რომელიც სახელმწიფოში მეორე პირს წარმოადგენდა. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ალბათ, გაგიჭირდებოდათ მის-*

2

არძინგბას ხროვის წინააღმდეგ ჩეჩნები უკვე ჩვენ დაგვეხმარებიან... 3

დიდი საფრთხე
აკაკი ბაქრაძე 3

საით მიდის საქართველო?
ბატონ ა.ჭაჭიას წერილების გამო
ნოდარ ნათაძე 6

ის, რაც მოხდა, ყოველთვის შეიძლება მოხდეს 6

მკვლელობა ჯორჯიაშვილზე 8

ულრუბლო ცაა აფხაზეთში?

პირველი გვერდიდან

განახორციელოს სამშვიდობო მისია რეგიონში. იგი ეხმარება საქართველოს სამხედრო სპეციალისტების მომზადებაში (?) და იგივეს სთავაზობს აფხაზეთს. ამასთან რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების მიმართ დამოკიდებულება უარესდება, ადგილი აქვს ფიზიკურ შეურაცხყოფას, სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა უფლებათა დარღვევას. ქართველები რუსეთზე გამუდმებული ზეწოლის მოსახდენად იყენებენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა რუსული სამხედრო ობიექტების სტატუსი და ღირებულება, საზღვრების დაცვა და მშვიდობისმყოფელთა ყოფნა კონფლიქტის ზონაში.

გაანადგურა რა შეიარაღებული ოპოზიცია ცენტრში, ედ. შევარდნაძე სუსტად აკონტროლებს ვითარებას პერიფერიებში. ძალისმიერი სამინისტროები და უწყებები ინარჩუნებენ დიდ თვითმყოფადობას. საქართველოს დასავლეთ რაიონებში არსებობენ არაკონტროლირებადი შეიარაღებული ფორმირებები (მათ შორის „თეთრი ლეგიონი“), რომელთა საქმიანობასაც საქართველოსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტის განახლების პროვოცირება შეიძლება მოჰყვეს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შენგელიას *„შეწყალება“* და მისი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნა (?) მიმართულია იქით, რომ კონტროლის ქვეშ მოექცეს ეს ოპოზიციური ფორმირებები და მათ დესტრუქციულ საქმიანობას ორგანიზებული ხასიათი მიეცეს.

ე. შევარდნაძე და საქართველოს სპეცსამსახურები მარჯვედ იყენებენ რუსული პოლიტიკის გაურკვეველობას აფხაზეთში, რომლებიც არაკოორდინირებულად მოქმედებენ და ხშირად ჩვენი ნაციონალური-ინტერესების საზიანოდ პროვოკაციის ანკესზე ეგებიან რუსეთის ფედერალური უწყებები (საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ფედერალური სასაზღვრო სამსახური) და მათი ადგილობრივი ორგანოები.

ორივე მხრიდან აქტიურად მოქმედებენ ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საპარლამენტო ჯგუფები და ფრაქციები, რომლებიც ომის დროს შეიქმნენ და ხელს უწყობენ ვითარების დრამატიზებასა და გამწვავებას. ამ ძალების დაწოლით, კურსი, ფაქტიურად, რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებისკენ იქნა აღებული.

აფხაზეთის ხელისუფლება დე-ფაქტო მოითხოვს რესპუბლიკის სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას. ლოზუნგი – „აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნება“, როგორც დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთ-ერთი შესაძლო და ლეგიტიმური გზა, ოფიციალურ პირთა განცხადებებში აღარ ისმის. აფხაზეთთან მიმართებაში რუსეთის პოზიციისა და პრაქტიკული საქმიანობის შედეგად, ასევე ჩეჩნეთის კომპანიაში განცდილი წარუმატებლობის გამო, სულ უფრო მეტ მხარდაჭერას პოულობს დსთ-ს შემადგენლობაში აფხაზეთის დამოუკიდებლობის იდეა.

აფხაზეთის ხელმძღვანელობა მჭიდროდ თანამშრომლობს და საკუთარ განწყობილებაში პრაქტიკულ მხარდაჭერას პოულობს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის (ყაბარდო-ბალყარეთი, ადიღე, ჩეჩნეთი) ხელმძღვანელების, ასევე ბაშკირეთის, დნესტრისპირეთის, სამხრეთ რუსეთის კაზაკობის, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში არსებული აფხაზური დიასპორების წარმომადგენელთა მხრიდან.

ომის დამთავრების შემდეგ და განსაკუთრებით 1995-1996 წლებში არმინბამ სერიოზულ ლონეს მიმართა შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებლად, შეიარაღებლად და მოსამზადებლად. 1996 წელს აფხაზეთი საბიუჯეტო სახსრების 72% ხარჯავდა თავდაცვაზე, სხვა სტატიები ან სიმბოლურად, ან საერთოდ არ ფინანსდებოდა. დაიწყო დაზიანებული სამხედრო ტექნიკის აღდგენა, დასრულდა არმიის ორგანიზაციული ჩამოყალიბება, შეიქმნა სამობილიზაციო გაშლის სტრუქტურა, ტარდება სწავლებები და შეკრებები. აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებში იმყოფება: 5 ათასი კაცი (სამობილიზაციო რესურსი – 28 ათასამდე), 34 ტანკი, 60–70 БМП და ჯავშანტრანსპორტიორი, 78 ქვემეხი, 3 თვითმფრინავი (ლ–39, მიგ–21, სუ – 25), 2–3 შვეულმფრენი, 20–მდე საბრძოლო კატერი დამატებითი საარტილერიო შეიარაღებით. ომისთვის მოსახლეობის სამობილიზაციო და ფსიქოლოგიური მზადყოფნა მაღალია.

შედარებისთვის, საქართველოს შეიარაღებული ძალებში იმყოფება: 25 ათასი კაცი, 100 ტანკი, 180 ფეხოსანთა ჯავშანმანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 4 სუ-25 ტიპის თვითმფრინავი, 10 შვეულმფრენი, სამხედრო-საზღვაო ძალები ჩანასახოვან მდგომარეობაში არიან და სულ 4 კატარღას მოითვლიან.

გაგრძელება იქნება

ვინ ვინ არის

ინტერვიუ

ეროვნული

ინტერესი

ახალგაზრ საქართველოს ისტორიის მეოცე საუკუნისათვის

კახა თარგამაძე:

ადამიანის სიცხლის დაღვრა მათთვის იგივეა, რაც ნებისმიერი სხვა მოქალაქისთვის წყლის გადაქცევა...

პირველი გვერდიდან

გან ჩვენებითი აღიარების მიღება.

კ.თ. – რა თქმა უნდა, საესებით გეთანხმებით, ჩვენებითი აღიარება ჯ.იოსელიანს არ მოუცია. მინდა თავიდანვე მოგახსენოთ, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც არა მხოლოდ ამ საქმეში, ბევრ სხვა საქმეშიც და ასეთი მძიმე ბრალდებისას განსაკუთრებით, პიროვნება აღიარებით ჩვენებას არ გაძლევს, მაგრამ იკრიბება საკმარისი მტკიცებულება გამოძიების გზით იმ მიმართულებით, რაც მას ბრალად აქვს წაყენებული. მართალია, ჯ.იოსელიანს აღიარებითი ჩვენება არ მიუცია, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საქმე არ გაიხსნა. ყველაფერი უკვე ცნობილია, სასამართლო პროცესის დროს ყველაფერი გამოაშკარავდება. მერე, ცხადია, დაიწყება, გვაწამესო, გვტანჯავესო და ა.შ. როგორც ხდება ხოლმე სასამართლოზე თავდაცვის მიზნით, მაგრამ კიდევ კარგი, ყველაფერი აღბეჭდილია და გადაღებულია ფირზე, რომელსაც ჩვენ წარვადგენთ როგორც დოკუმენტურ მასალას და მთელი ქვეყანა ნახავს, როგორი „წამებითაც“ იძლევიან ისინი აღიარებებს.

ნ.ბ. – *პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ჯ.იოსელიანმა განაცხადა, რომ ეშინოდეთ პარლამენტის სხვა წევრებს, თუ რაიმე შეიცვლება საქართველოში, თორემ მე ციხეშიც ფანჯარასთან ვიქნებიო. ფანჯარასთან ზის თუ არა?*

კ.თ. – ჯაბა იოსელიანი არის ისევე პირობებში, რა პირობებშიც არიან სხვა პატიმრები. არაეითარი გამორჩეული ყოფა მას არ აქვს.

ნ.ბ. – *რასაც ჩვენ ესაუბრობთ, აქვს თუ არა მას საშუალება წაიკითხოს და საჭიროების შემთხვევაში, რედაქციას პუბლიკაციაც გამოუგზავნოს. თუ მისდით გაზეთები, თუ შეუძლიათ ისარგებლონ წიგნებით. თავის დროზე, ლენინმა, მოგეხსენებათ, განათლება ნიკოლოზის ციხეში მიიღო...*

კ.თ. – ბატონო ნოდარ, ჩვენი პატიმრების დიდ ლტოლვაზე განათლებისა და მეცნიერების საფუძვლების დაუფლების თვალსაზრისით, რა მოგახსენოთ, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ მათ პრესისა და წიგნის მიწოდება არ ეზღუდებათ. არც ცუდი კვება აქვთ. მომავალში, თუკი პარლამენტი დაადგენს, ჩვენ ვეცდებით ტელევიზორის დადგმის საკითხიც გადავუწყვიტოთ, ვისაც ამის სურვილი და საშუალება ექნება.

ნ.ბ. – *ოო, თქვენ ისეთ სურათს ხატავთ საგამომძიებლო იზოლატორისას, რომ ვეჭვობ, პრობლემები გაგიჩნდებათ. გარეთ რაც დამშეული ხალხია, ერთ მშვენიერ დღეს თხოვნით მოგადგებათ – დაგეპატიმრეთო. მუქთად თუკი შინახავთ და ტელევიზორიც ექნებათ, გადაჭრილა არსებობის პრობლემა და ეგ არის.*

კ.თ. – ბ-ნო ნოდარ, ყველაზე დიდი მონატრეული ადამიანისა თავისუფლებაა და მე არ ვუსურვებ არავის აქ მობრძანებას და თავისუფლების დაკარგვას. სხვათა შორის, ამას წინათ, არ მახსოვს სად წავიკითხე, რაღაც ექსპერიმენტი ჩაუტარებიათ ამერიკაში და დაუდგენიათ, რომ პირველი სამი წელიწადი პიროვნება, რომელიც სასჯელს იხდის, ცდილობს, რომ მოიპოვოს თავისუფლება, შემდეგი სამი წელიწადი უკვე ნელდება სურვილი ამისო და ბოლოს სურვილი ქრებაო. არ ვიცი, ეს ზუსტი დაკვირვებაა თუ არა, მაგრამ საშინელი კია. თუ ადამიანი თავისუფლების სურვილს კარგავს, ამით მასში კედება პიროვნება და რჩება მოსიარულე რობოტად...

ნ.ბ. – *რაკი თავისუფლებაზე ჩამოვარდა სიტყვა, დავსძენ: ერთია პიროვნული თავისუფლება და მეორე – ეროვნული თავისუფლება, რომლის გზაზეც ის იყო დადგა ჩვენი ქვეყანა და ამ დროს გაჩნდა ისეთი შინაური პრობლემები, რომლებმაც ლამის დაგვაკარგვინა ეს თავისუფლება, მე მხედველობაში მაქვს ტერორისაგან გაწამებული მოსახლეობა, რომელიც ნატრობდა კომუნისტურ სიმშვიდეს... თუ თავის დროზე ლელთ ლუნია ამბობდა, ცარიელ მშვიდობას რას ვაქნევო, უკვე ხალხს ცარიელი სიმშვიდე მოუნატრა. ოღონდ არ ყოფილიყო მკვლელობები, ძარცვა, ყაჩაღობა, ტერორი და იძულებული გახდა ხალხი, რომ უკან, კომუნისტებისაკენ მიებრუნებინა მზერა. ტერაქტებზე თქვენს ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიცნობიროს, რა გადაეიტანეთ და რისი დაბრუნება დაღუპავს ერს. აი, მაგალითად, სოლიკო ხაბეიშვილი, ციხიდან ცოცხალი გამოვიდა და.. რისთვის მოკლეს იგი. იყო მის მიმართ ანგარიშსწორების მომენტი თუ მართლა მხოლოდ საშუალებად გამოიყენეს, რათა შეეარდნაძე მოეკლათ მის პანაშვიდზე?*

კ.თ. – ბ-ნ სოლიკოს მკვლელობასთან დაკავშირებით ყველაფერი იყო, რაც თქვენ ბრძანეთ ერთობლიობაში. სოლიკო ხაბეიშვილმა წინააღმდეგობა გაუწია იმ ძალებს, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ საქართველოში თავიანთი ქონებრივი საკითხების მოგვარებით. მე მაქვს მხედველობაში სასტუმროები, ასევე სხვა უამრავი ქონება, რომლის ხელში ჩაგდებას უკანონო გზით ცდილობდნენ. გიგა გელაშვილი მკვლელობამდე მისული იყო ს.ხაბეიშვილთან და მათ რამოდენიმეჯერ გააფრთხილეს ბ-ნი სოლიკო, რომ არ შეეშალა მათთვის ხელი, თუ არა და მის წინააღმდეგ ძალისმიერი მეთოდები იქნებოდა გამოყენებული. ბ-ნი სოლიკო, ეტყობა, იმდენად ეაქტაცური თვისებების მქონე იყო, რომ მას იმისაც კი მოერიდა, რომ მიემართა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ან სხვა ვინმესთვის ამის შესახებ და რაღაცა ეთქვა, მას, ეტყობა, კაცურმა თავმოყვარეობამ არ მისცა უფლება. ნეტავ ეს ფაქტი თავის დროზე ყოფილიყო ცნობილი, რამეთუ შესაძლებელი იყო ამის თავიდან აცილება.

ნ.ბ. – *შესაძლოა ვერც კი გაბედა ჩვენილი. ისეთი დრო იყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მაშინ ვერ დაიცავდა თვით მისი მდგომარეობის კაცსაც კი...*

კ.თ. – შესაძლოა, მაგრამ მაშინ უკვე სერიოზული ძალები გაგაჩნდა, გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმული იყო დამნაშავეთა სამყაროსთან საბრძოლველად, მაგრამ ისინიც ძალიან ძლიერები იყვნენ. რაც თქვენ ბრძანეთ, ამ ფაქტსაც დასაშვებად მივიჩნევ, მაგრამ მე მეორე მომენტს გეტყვით. ჩვენთვის ცნობილი არის სასტუმრო „მეტეხში“ მისი საუბარი „მხედრიონელებთან“, სადაც მისი მისამართით იყო მუქარა. მას ეუბნებოდნენ, რომ არ ჩარეულიყო მათ საქმიანობაში და მიეცა საშუალება ყველა ცნობილ სასტუმროს დაპატრონებოდნენ. ბ-ნ სოლიკოს ამაზე ძალიან სერიოზული წინააღმდეგობა ჰქონდა და ერთ-ერთი მომენტი შეიძლება ესეც ყოფილიყო მისი ლიკვიდაციის. ხაბეიშვილის მკვლელობის მოტივი უშუალო შემსრულებლისათვის შეიძლებოდა არც ყოფილიყო ცნობილი. უფრო მეტს გეტყვით, ერთ-ერთი შემსრულებელი თავის ჩვენებაში პირდაპირ ამბობს, რომ ს.ხაბეიშვილი მას არასდროს ენახა არც თვალით, არც ტელევიზიით. გაზეთი მიუტანეს და გაზეთში ჰკვენეს მისი სურათი. უფრო მეტიც, როდესაც ისროლეს, მათ შორის დავაც კი წარმოიშვა, რომელი იყო სოლიკო ხაბეიშვილი, მძღოლი თუ ისა. ამიტომ, ყოველ შემთხვევაში, მოვკალით მძღოლიცო. გიგა გელაშვილიც ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ამ მკვლელობისა და მისი ხალხი უშუალოდ მისი დავალებით ასრულებდა ამ „საქმეს“, შეიძლება ისიც იარაღი ყოფილიყო და თავადაც დავალებას ასრულებდა ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ცნობილი უნდა ყოფილიყო ჯაბა იოსელიანისთვისაც და კიდევ რამოდენიმე სხვა პირისთვის. ბინიდან, სადაც უშუალო შემსრულებლები იმყოფებოდნენ, ჩვენ ამოვიღეთ მტკიცების სახით ტყვიები. გეტყვით, როგორ მოხდა ამ ტყვიების ამოღება. ერთ-ერთი მკვლელი ამბობდა, როდესაც მოგვიტანეს მაყუნიანი პისტოლეტები, დამაინტერესა, ჰქონდა თუ არა ხმა პისტოლეტს და ს.ბურთალოზე ნაქირავებ ბინაში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ და სადაც, ეტყობა, პერიოდულად ათევდნენ ღამეს) რამოდენიმე გასროლა გავაკეთეო. ერთი ტყვია მოხვედრილი იყო სკამის ფეხში და სკამი ამოღებულია, როგორც ნიეთმტკიცება. ერთი ტყვია იყო პარკეტის ქვეშ გაჩხერილი და ერთი კიდევ დივანში. ბ-ნ სოლიკოზე ნასროლი ტყვია დაემთხვა მთლიანად კვალიფიციური ექსპერტიზით იმ იარაღისას, რომელიც მისი მკვლელობის დროს იყო გამოყენებული. ეს იყო ხალხი, რომლებსაც თავისი ციხეზითა და სისასტიკით ანალოგს ვერ უპოვით. ადამიანის სიცხლის დაღვრა მათთვის იგივეა, რაც ნებისმიერი სხვა მოქალაქისთვის წყლის გადაქცევა.

ზემოთ მოგახსენეთ, გგელაშვილი მკვლელობამდე ორი დღით ადრე მივიდა ს.ხაბეიშვილთან კაბინეტში და ემუქრებოდა. საკმაოდ დიდი ხმაური გამოდიოდა კაბინეტიდან. ამას ამბობს ბ-ნ სოლიკოს პირადი მდივანი. შემდეგ სწრაფი ნაბიჯით გამოდის გელაშვილი და კი არ ჩამოვიდა, ჩამოირბინა კიბეები 2-2 საფეხურით. ჩვენთვის ცნობილია, რომ საუბრის თემა ეხებოდა იმ ქონებას, რისი დაუფლებაც ნაფიქრებული ჰქონდათ. ს.ხაბეიშვილი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა. გარდა ამისა, მათ უნდოდათ პრეზიდენტისთვის მოუშორებინათ სერიოზული ძალები.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №31,32,33,34.

დიდი საფრთხე

აპაპი ბაქრაძე

რუსეთ-ბელორუსიის „სოიუზის“ შექმნით რუსეთის იმპერიის აღდგენა დაიწყო. ეს სრულიად ცხადი და ნათელია ყველასათვის, ვინც განგებ არ იბრმავებს თვალებს და არ იყრუებს თავს (რა გამოვა აქედან, ეს სხვა საკითხია). მალე ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკას აიძულებენ შეუერთდეს ამ „კავშირს“.

მინსკში მომხდარმა მოვლენებმა ნათელჰყო, რომ რუსეთ-ბელორუსიის კავშირის შესანარჩუნებლად არ დაიშურებენ არც მათრახებს, არც კეტებს და არც ტყვიებს.

ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ერთადერთი ქვეყანა უკრაინაა, რომელსაც შეუძლია არსებითი წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის ამ ძალადობას. იგი დიდი და მძლავრი სახელმწიფოა. არმიაც ძლიერი ჰყავს (თითქმის ნახევარი საბჭოთა არმიისა მას დარჩა). სამხედრო მრეწველობაც აქვს. მას თავის გადარჩენის უნარიც შესწევს და სხვასაც შეუძლია დაეხმაროს. მაგრამ ერთი ეჭვი ღრღნის გონებას: პანსლავისტური ძმობის სახელით ხომ არ დათმობს უკრაინა დამოუკიდებლობა-თავისუფლებას? დღეს ძნელია ამის პასუხი. ვნახოთ, რას იტყვის უახლოესი მომავალი.

რუსეთ-ბელორუსიის „სოიუზი“ მეტისმეტად ართულებს საქართველოს ბედ-იღბალს. რეალური საფრთხე არსებობს იმისა, რომ ხელისუფლებამ გამალებული პროპაგანდა დაიწყოს: არიქა, შეეუერთდეთ რუსეთ-ბელორუსიის კავშირს, მაშინ აფხაზეთისა და შიდა ქართლის დაბრუნებას წინ აღარაფერი აღუდგებაო. მტკნარი სიცრუე იქნება ეს თუმცა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კი შეიძლება გააბრიყვოს. გაიხსენეთ: „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ იმ დაპირებით შეგვათრიეს, რომ აფხაზეთსა და შიდა ქართლს დაგებრუნებენო. შესულით კი შევედით, მაგრამ დაბრუნებით არაფერი დაუბრუნებიათ. გაცუცურაკებულნი დავრჩით. ხელში ხვიშტი შეგვრჩა. როგორც იყო წართმეული აფხაზეთი და შიდა ქართლი, ისევე დარჩა.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ახალ „კავშირს“ რუსეთი იმ პრინციპით არ ააგებს, როგორითაც სსრკ იყო აშენებული. მოგეხსენებათ, სსრკ ფედერაციული სახელმწიფო იყო. მაგრამ ფედერაციის ერთეულებს სხვადასხვა, არათანაბარი სტატუსი ჰქონდათ. მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენდა, ვიდრე ავტონომიური რესპულიკისა. ავტონომიური ოლქის სტატუსი კი უფრო დაბალი იყო, ვიდრე ავტონომიური რესპუბლიკისა და აშ. ახალ „კავშირში“, რომელსაც ფუძე რუსეთ-ბელორუსიის „სოიუზით“ ჩაეყარა, ფედერალური ერთეულები დიფერენცირებული არ იქნებიან. ყველას თანაბარი სტატუსი ექნება. ამას იქიდან ვასკვნი, რომ, ჯერ ერთი, სსრკ-ის დროინდელ სახელმწიფო სტრუქტურას არაფრით არ გაიმეორებენ და, მეორეც, ამგვარი ფედერალური სახელმწიფოს შექმნას ჯერ კიდევ ანდრია სახაროვი სთავაზობდა მიხეილ გორბაჩოვს. აპირებდა კიდეც გორბაჩოვი მის განხორციელებას, მაგრამ ვერ მოასწრო. პირადი მტრობის გამო (გახსოვთ, ალბათ, გორბაჩოვმა ელცინი მოსკოვის ქალაქკომის მდივნის პოსტიდან გააგდო), ელცინმა უმუხთლა გორბაჩოვს. კვანტი დაუდო და ტახტიდან ჩამოაგდო. ბელორუსიაში, ბელოვეჟსკაია პუშჩაში რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის ბელადებმა სსრკ-ის დაშლის კომედია გაითამაშეს. იქვე საიდუმლო ფიცი დადეს: ისევ აღედგინათ რუსეთის იმპერია. ახლა უკვე საქმით შეუდგნენ ფიცის განხორციელებას. ტყვიელად ხომ არ არიან სიხარულით აჭყლოპინებულნი მამალი კომუნისტები: ზუგანოვი, სელეზნოვი, პრიმაკოვი – ისევ „სოიუზში“ ეცხოვრობთო.

ფედერაციის ერთეულების სტატუსის გათანაბრება ახალი „კავშირის“ დუდაბად უნდა გამოიყენონ.

თუ აფხაზეთი ახალ „კავშირში“ ისეთივე სტატუსით შევა, როგორითაც საქართველო, მაშინ აფხაზეთი ველარ იქნება საქართველოს ნაწილი. იგი ცალკე ფედერალური ერთეული გახდება. მოსკოვის მადლიერი აფხაზეთი საქართველოს არცერთ წინადადებას არ დათანხმდება.

სტატუსების გათანაბრების შემთხვევაში ჩრდილოეთ ოსეთი ცალკე არ გახდება ახალი „კავშირის“ წევრი. მან უნდა მიიერთოს „სამხრეთ ოსეთიც“ და ერთიანი სახელით – ალანია – შევიდეს ახალ „კავშირში“. ამ გაერთიანებით, ანუ ქართული მიწა-წყლის მითვისებით, კმაყოფილი ალანია სამუდამოდ რუსეთის ყურმოჭრილი ყმა გახდება. საქართველოს „მეგობარი“ ოსები ძალლის ყეფადაც არ ჩათვლიან ჩვენს წუწუნს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე.

უნდა თუ არ უნდა ეს, აჭარაც, რაკი ავტონომიური რესპუბლიკაა, ისეთსავე ვითარებაში აღმოჩნდება, როგორშიც აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“. აჭარამ ან უარი უნდა თქვას ავტონომიურობაზე და როგორც საქართველოს ღვიძლი ნაწილი, შევიდეს რუსეთ-ბელორუსიის „სოიუზში“, ან ცალკე სხვებთან გათანაბრებული ახალი სტატუსით. რას აირჩევს აჭარა, მაშინ გამოჩნდება, როცა რეალურად დადგება ახალ „კავშირთან“ შეერთების პრობლემა. ეს პრობლემა რომ უახლოეს ხანებში დადგება, ამაში შეიძლება ის კაცი დაეჭვდეს, ვინც ან უსაშველოდ მიამტკა, ან უნუგეშოდ აბუეტი, ან თვალთმაქცია, რომელსაც ამდენჯერ წყალში თევზის დაჭერა ეოცნებება.

ასეთი ხიფათი შეუქმნია საქართველოს რუსეთ-ბელორუსიის „სოიუზის“ ჩამოყალიბებამ. რა მოხდება, თუ საქართველო გაჯიუტდა და არ შეუერთდა ახალ „კავშირს“? მაშინ დაიწყება იმ გეგმის განხორციელება, რომელიც აქვს რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს მიმართ. ეს

გაგრძელება მე-5 გვ.

ზ.გამსახურდია, ქვრივი 5 წლის შემდეგ თბილისს ეწვია

როგორც სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში „ზვიად განმანთავისუფლებლის“ პარტიის ლიდერმა ლ.ცომაიამ განაცხადა, 9 აპრილს, თბილისში, ხუთწლიანი იძულებითი ემიგრაციის შემდეგ, ჩამოვიდა ექს-პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია. იმავე წყაროს თქმით, თბილისში იგი ჩამოვიდა უახლოესი მეგობრების გარემოცვით, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ მის უსაფრთხოებას. ლ.ცომაიამ ასევე განაცხადა, რომ 9–10 აპრილს ექს-პრეზიდენტის ქვრივი შეხვდა მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციების წევრებს. მ.არჩვაძის ვიზიტი ხანმოკლეა. მას შვილები თან არ ახლავს.

ზ.გამსახურდიას მომხრეებისაგან დაუხუსტებელი ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ 9 აპრილს, მ.არჩვაძე-გამსახურდიამ მოინახულა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი. (იფრინდა)

ეროვნული ერთიანობა

ზვიადისტებმა ... ქვრივი 5

... ნლის შემდეგ თბილისს ეწვია

... ნ ... ბ ... ბ ... ბ

არძინბას ხროვის წინააღმდეგ ჩეჩნები უკვე ჩვენ დაგვეხმარებიან...

მესამე გვერდიდან

არიან, რომ არძინბას ხროვის იზოლაციაში და განადგურებაში მათ ჩეჩნი ძმები დაეხმარებიან და მათ გვერდზე იქნებიან. ამისათვის კი მხოლოდ ერთი პირობაა – საქართველოს ხელისუფლებამ მოითხოვოს რუსეთის ჯარის საქართველოდან გასვლა. „თუ იცით, რატომ შეხვდა მასხადოვი ნადიბაიძეს ნაზრანში და არა გროზნოში? იმიტომ, რომ ჩეჩნებს ფიცი აქვთ დადებული, არც ერთი რუსი გენერალი ჩეჩნეთის მიწაზე ფეხს არ დაადგამს". – თქვა ჩეჩნეთის შთაბეჭდილებებით საესე თორნიკე ფიფიამ. – „სულ მალე კავკასია დარჩება რუსეთის გარეშე. მალე სხვა ერებიც დაიწყებენ რუსეთის ჯარის თაეისი რესპუბლიკებიდან გაყვანას. მხოლოდ ჩვენ და სომხები დაერჩებით და ნუ ეიზამთ იმას, რომ მე-5 კოლონად გამოგვაცხადონ და თავს ლაფი დაგვასხან. ჩვენს ხელისუფლებას დღეს ალტერნატივა არ გააჩნია. უნდა დამთავრდეს რუსეთთან თუ დასავლეთთან ფლირტი. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ ხელისუფლებამ კურსი შეიცვალოს".

საუბარი ისევ ბასაევს შეეხო. თორნიკე ფიფიამ თქვა: „რატომ არ გესმით, საქართველო მე-19 საუკუნეში რუსეთის ჟანდარმი იყო კავკასიაში. ვედინო. ბასაევის სამშობლო. რუსებმა ქართველ გენერლებს ააღებინეს და ჯილდო და ჯინჯილები არ დაუკლიათ. ბასაევისთვის აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა იყო კავკასიაში რუსეთის ჟანდარმის ამოსაძირკვად გამართული ომი".

გერმანე ფაცაცია, როგორც ყოველთვის, ემოციური იყო: „რუსეთში არაა ჩეჩნეთი. მე თაეისუფალ ქვეყანაში და თაეისუფალ ეაკაცებთან ვიყაეი. საქართველოში კი „მე ჩეჩნეთიდან დაებრუნდი რუსეთში, ასეა აქ".

ჩვენ დაინტერესდით, ხომ არ აპირებს ფრაქცია „აფხაზეთი" შეამავლის როლი იკისროს საქართველოსა და ჩეჩნებს შორის. მათ გეითხრეს, რომ ასეთი რამ მათ არ სურთ, სანამ საქართველოს ხელისუფლება პრორუსულია. „მასხადოვი მექაში არ წავიდა. რადგან რუსებისთვის უნდა ეთხოეა ვიზა და რუსების მოეაერულ ხელისუფლებასთან რა საქმე აქეს? საიდან მიიღწევა მშვიდობიანი კავკასია, როდესაც შენ ურუსეთოდ სიცოცხლე არ შეგიძლია. ჩეჩნეთში კი რუსეთთან ერთად ვერ სუნთქავენ? საიდან დაიბრალა ჩვენმა ხელისუფალმა მშვიდობიანი კავკასიის იდეა?" ყველას გასაოცრად გერმანე ფაცაციამ გამოაცხადა, რომ ღორის ხორცს არასოდეს შეჭამს, რადგან ამ ცხოველისაგან უნდა გათაეისუფლდეს საქართველო. ეტყობა, უნდოდა ეთქვა. ღორობისაგან უნდა განთავისუფლდეთო. ჟურნალისტებმა უპასუხეს, თუ არ ეჭამეთ, როგორღა გათაეისუფლდებითო და ეჭვი შეიტანეს. მუსულმანურად ხომ არ მოინათლაო. გერმანე ფაცაციამ დაინტერესებულებს პარლამენტის მედპუნქტში წასვლა შესთავაზა ფოტოგრაფებთან ერთად.

ჟურნალისტები ასევე დაინტერესდნენ ზეიად გამსახურდიას საფლავის მდგომარეობით. ცნობილია, რომ საფლავს დიდი მოწიწებით უვლიან. ახლახანს კი დაიწყეს შენობის აღდგენა, სადაც ჩვენი პირველი პრეზიდენტი ცხოვრობდა და იგი საქართველოს საკუთრებადაა გამოცხადებული. თორნიკე ფიფიამ ბოლოს თქვა: „მიხარია, რომ ზეიად გამსახურდია თაეისუფალ მიწაზეა დასაფლავებული, თაეისუფალი კაცების გვერდით არის მისი სული. თუ სიცოცხლეში არ ჰქონდა ბედი, სიკვდილში მაინც გაუმართლა".

ვალერი გიორგობიანმა კი აღნიშნა, რომ ბამუტის აღების დროს საქართველოდან ჩავიდა ჩეჩნებთან დიდი დახმარება. ქართველები იქ იბრძოდნენ, მაგრამ მათი სახელები გარკვეული მიზეზების გამო ჯერ საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

გერმანე ფაცაციამ პრესკონფერენცია ფილოსოფიურ-პოეტურად დაასრულა: „ჩვენ ვხმაურობთ ახლა და ამიტომ საშიში არა ვართ. იმ მდინარის გეშინოდეს, რომელიც არ ხმაურობს".

მანანა იაშვილი

P.S. გერმანე ფაცაციამ ისიც თქვა, რომ ჩეჩნეთიდან მათ ჩამოიტანეს უამრავი ვიდეომასალა. მაგრამ იმედი არა აქვს, რომ „ბოგელეიზია" მას აჩვენებს.

არძინბა არ ეთანხმება სამიტის გადაწყვეტილებას

როგორც საგენტოს კორესპონდენტისათვის კარგად ინფორმირებული წყაროდან გახდა ცნობილი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალ-მაიორმა ბაბენკოვმა წერილი გაუგზავნა ვ.არძინბას, რომელშიც გენერალი თხოვნით მიმართავს მას 1997 წლის 28 მარტის სამიტის გადაწყვეტილების შესასრულებლად, კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, მუშა ჯგუფის გამოყოფის თაობაზე.

ამასთან დაკავშირებით, ვ.არძინბამ საპასუხო წერილი გაუგზავნა გენერალ ბაბენკოვს, რომელშიც შეუძლებლად მიაჩნია ბაბენკოვის წინადადების შესრულება იმ მოტივით, რომ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მანდატი დადგენილია ქართულ-აფხაზური შეთანხმებით 1994 წლის 14 მაისს, რაც ითვალისწინებს აღნიშნული ძალების განლაგებას მდ.ენგურზე და ლტოლვილთა დაბრუნების ხელშეკრულებას. არძინბას აზრით, აღნიშნული შეთანხმებით, სამშვიდობო ძალებს სხვა ფუნქცია არ გააჩნიათ. მისივე განცხადებით, 28 მარტის სამიტის გადაწყვეტილება, მართალია, გულისხმობს სამშვიდობო ძალთა პერედისლოკაციას, თუმცაღა ცნობილია, რომ სამშვიდობო ოპერაციები და სამშვიდობო ძალების მანდატში ცვლილებები მხოლოდ კონფლიქტის ორივე მხარის თანხმობით უნდა შესრულდეს, რაზედაც აფხაზურ მხარეს თანხმობა არ განუცხადებია. ვ.არძინბამ წერილში ყურადღება გააამახვილა იმ მომენტზე, რომ საქართველოს ხელისუფლებას სამიტის გადაწყვეტილება წარმოუდგენია თაეისი იურისდიქციის გავრცელებად იმ ტერიტორიებზე, სადაც სამშვიდობო ძალების გაფართოებული სამოქმედო არეალი იქნება. ამდენად არძინბას აზრით, ქართული მხარე ცდილობს გამოიყენოს სამშვიდობო ძალები თაეისი ინტერესებისათვის. (იფრინდა)

დღის გაფრთხილება

2 მაისს საქართველოში შეიძლება დაუმორჩილებლობის საყოველთაო აქცია დაიწყოს. ფრაქცია „აფხაზეთის" წარმომადგენელმა ბორის კაკუბავამ დღევანდელ მორიგ საინფორმაციო მიტინგზე განაცხადა, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო საქართველოს პარლამენტს 28 აპრილამდე აძლევს ვადას – თუ პარლამენტი დროის ამ მონაკვეთში არ განიხილავს მათ მიერ შემუშავებულ პროექტს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარების გაყვანის შესახებ, 2 მაისს დაიწყება საყოველთაო სახალხო დაუმორჩილებლობის აქცია.

ყველა რაიონში, სადაც ლტოლვილები ცხოვრობენ, მჯდომარე აქციები გაიმართება. 10 წუთით გადაიკეტება ქვეყნის ყველა გზატკეცილი. ლოზუნგი ყველასთვის ერთი იქნება – „დაგვაბრუნეთ ჩვენს სახლებში". აქცია 18 დღეს გასტანს. 20 მაისს მისი მონაწილენი თბილისისაკენ გამოემართებიან, – განაცხადა კაკუბავამ.

ბორის კაკუბავას თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეიგნოს, რომ ხალხი არ ენდობა მას და, ამიტომ, უნდა გადადგეს. ჩვენი მოძრაობა საყოველთაო ხასიათს მიიღებს – მას შეუერთდება საპარლამენტო ფრაქცია „სახალხო" და პარლამენტის სხვა დეპუტატები, – აღნიშნა მან. (ბი ჯი აი)

აფხაზები თავიანთ ერთადერთ სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევენ!

მოხსენებითი ბარათი

მის ბრწყინვალებას, გენერალ-ადიუტანტს, თავად სვიატოპოლკ-მირსკის,

წოდებრივ და საადგილმამულო საქმეთა ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარეს!

აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავად-აზნაურობისაგან

1870 წლის 23 მარტი

მთელი აფხაზი ხალხის სათავეში იდგა აფხაზეთის მთავარი. უძველესი ქართული გვარის – შერვაშიძეთა წარმომადგენელი. მას, ყველა სხვა ქართველ მთავართა მსგავსად, რომელნიც საქართველოს სამეფოს გაყოფის შემდეგ დამოუკიდებელნი შეიქნენ, ხელთ ეპყრა უმაღლესი პოლიტიკური და სამოქალაქო ძალაუფლება მთელს აფხაზ ხალხზე. თავად-აზნაურთა გამოუკლებლივ და აგრეთვე სამეამამულეო ხელმწიფებაც დასახლებულ თუ დაუსახლებელ მამულებზე, რომლებიც პირადად მას ეკუთვნოდა როგორც მემამულეს, ანუ ყველა ის აფხაზური მიწა-წყალი, რომლებიც არ ეკუთვნოდათ დანარჩენ მემამულეებს, – თავადებსა და აზნაურებს. მასზე ერთი საფეხურით დაბლა მდგომნი იყვნენ საბატონო (სახასო, საუფლისწულო) თავადები, ანუ ისინი თავად შერვაშიძეთაგან, რომელთაც მთავართაგან საკუთრებაში ჰქონდათ ნაწყალობევი სამფლობელოები. ეს საბატონო თავადები, ქართველი საუფლისწულო თავადების მსგავსად, თავიანთი სამფლობელოების საზღვრებში ყველა იმ პოლიტიკური, სამოქალაქო და სამემამულეო უფლებებით სარგებლობდნენ, რომლითაც აღჭურვილი იყო აფხაზეთის სხვა, ამა თუ იმ ნაწილის მფლობელი, ვინც უშუალოდ განაგებდა თავის საბატონოს; და მათი კავშირი აფხაზეთის მთავართან მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ პატივი ეცათ მთავრისათვის, დამორჩილებოდნენ მას, როგორც თავიანთ უფროს ძმას და ყოველმხრივ შესწეოდნენ მას ომში. მთავარსა და საბატონო თავადებს, ვითარცა მემამულეებს, თავიანთ დასახლებულ და დაუსახლებელ მამულებში ისეთივე უფლებები ჰქონდათ, რაც დანარჩენ მემამულეებს. ამ უფლებებს ქვემორე განგიმარტავთ.

თავადები და აზნაურები წოდებრივი უფლებების მხრივ მცირედ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მთელი განსხვავება, როგორც საქართველოში, აქაც იმაში მდგომარეობდა, რომ, ჯერ ერთი, თავადის სისხლისათვის უფრო მეტი საზღაური იყო მისაგები, ვიდრე აზნაურის სისხლისათვის, და, მეორეს მხრივ, თავადებს უფლება ჰქონდათ მფლობელობაში ჰყოლოდათ ეგრეთ წოდებული სათავადო აზნაურები, რომელნიც თავადთა მამულებში ცხოვრობდნენ, აზნაურებს კი უფლება ეძლეოდათ მხოლოდ გლეხები და ტყეები (მოჯალაბენი) ჰყოლოდათ, რომლებიც მათს სააზნაურო მამულებში ცხოვრობდნენ. თავადებისა და აზნაურების სამემამულეო უფლებები სრულიად ერთნაირი იყო და ამიტომ შემდგომში ორთაეეს საერთო სახელწოდებით – მემამულეებად მოეიხსენიებთ. მემამულეები სრული საკუთრების უფლებით, თითოეული თავ-თავის, ცოცხალი მიჯნებით დადგენილ საზღვრებში, ფლობდა გლეხებს (აფხაზურად – „ანხაე"), სახნავ-სათეს და საძოვარ მიწებს, ბაღ-ვენახებს, ტყეებს და წყლებს.

აფხაზეთში რუსეთის მმართველობის შემოღების დროიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი სოხუმის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის დაფუძნების შემდეგ, გლეხები გაიმახიან, თითქოს მთელი მიწა-წყალი მემამულეებს კი არა, სწორედ მათ, გლეხებს ეკუთვნოდეთ იმის გამო, რომ ისინი მემამულეებზე ადრე დასახლებულან ამ მიწა-წყალზე, მემამულეები კი შემდგომში გამონენილან და მხოლოდ ძალის გამოყენებით უიძულებიათ გლეხები მათთვის ემსახურათ და ძალითვე მიუტაცნიათ მთელი მიწა-წყალი. მაგრამ გლეხების ამ მტკიცებას არანაირი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს უკვე იმიტომ, რომ მთელს ქვეყნიერებაზეც თავდაპირველად ყველანი მხოლოდ გლეხები თუ თაეისუფალი ადამიანები იყვნენ, მემამულეები კი მოგვიანებით გაჩნდნენ. თუმცა, რაგვარადაც და რა დროსაც არ უნდა გაჩენილიყვნენ მემამულეები, გლეხები ვერ უარყოფენ მემამულეთა არსებობის ფაქტს აფხაზეთში უხსოვარი დროიდან, ამასთან ყველა იმ უფლებებით, ამუამადაც რომ აქვთ მათ. თუკი ეს ფაქტი თავდაპირველად მართლაც ძალადობის შედეგი იყო, იგი სხვა ქვეყნებშიც ასევე ძალადობის ნაყოფი უნდა ყოფილიყო, და ეს ძალადობა ისტორიული ეამთასელის შედეგად კანონით დამკვიდრებულ უფლებად გადაიქცა, რომელიც აღიარებულ იქნა არამხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ, სადაც, ისევე, როგორც აფხაზეთში, იგი ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე არსებობდა, არამედ თვით რუსეთშიც კი, სადაც ბატონყმური უფლება გაცილებით უფრო მოგვიანებით გაჩნდა. ამრიგად, მემამულეთა უფლება ყმა-გლეხთა ყოლისა და მიწა-წყლის ფლობისა, უძველესი დროიდანვე, საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებული და მთავრობის მიერ აღიარებული იმპერიის დანარჩენ ნაწილებში ვერ იქნება სამართლიანად უარყოფილი აფხაზეთშიც. გლეხების ურთიერთობებზე თავიანთი მემამულეებისადმი ქვემორე ვიტყვით, როცა გლეხობაზე ვისაუბრებთ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №34.

გაგრძელება იქნება

„მაფია საქართველოში პოლიტიზირებულია"

ბუშინ ჟურნალისტთა სახლში ქუთაისის მერმა თ.შაშიაშვილმა ჩაატარა პრეს-კონფერენცია, სადაც განაცხადა, რომ მაფია საქართველოში პოლიტიზირებულია და ის სახელმწიფო, რომელიც შეეგუება ამას, დაიღუპება. ქუთაისის მერის სიტყვებით, ყველაზე საშიში და დაუნდობელია ბაზრობების მაფია. „მე თვალებში შევხედე მშიერ ხალხს და იმ ძალებს, რომლებიც მათ უკან დგანან. ამ ძალების, მარტო მე კი არა, ქვეყნის პრეზიდენტსაც უნდა ეშინოდეს", – განაცხადა თ.შაშიაშვილმა. მისივე სიტყვებით, მან იცის, ეს რა ძალებია და ეროვნული უშიშროების საბჭოზე ის კონკრეტულად ამხელს მათ. თ.შაშიაშვილის თქმით, მაშინ, როცა საქართველოს ბაზრობებზე ყოველდღიურად მასობრივად ირღვევა, როგორც მომხმარებლის, ისე გამყიდველის უფლებები, ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები რატომღაც ამ ფაქტს უყურადღებოდ ტოვებენ. სწორედ ამ ბაზრობების მეშვეობით ქვეყანაში საოცარი ევოლუციით წარიმართა, მოსახლეობის მასობრივი მოწამვლის პროცესი, რომლის ნაყოფსაც 5-10 წლის შემდეგ მოვიმკით. თვალსაჩინოებისათვის მან მაგალითად მოიყვანა თურქეთში ჩაწოლილი პროდუქციის 80%, რომელიც წარმატებით გასაღდა საქართველოში. ქუთაისის მერის აზრით, ბაზრობებმა ქვეყნის ეკონომიკის გაჩერება გამოიწვია. ამ პროცესის გამოსწორება კი, მხოლოდ სამამულო პროდუქციის გამოშვებით არის შესაძლებელი. (იფრინდა)

„11 მილიონის ჩამოწერა არ მოხდება"

გასულ წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საქართველოში ხორბლის შემოსატანად გამოყო 29 მლნ. ლარი, საიდანაც 11 მლნ. ლარი ჯერ არ დაბრუნებია. აქედან, 6 მლნ. ლარი ვალი აქვს თავდაცვის სამინისტროს, დანარჩენი კი, ს/ს „კაჭრეთი"-ს პურკომბინატს. როგორც საკომიტეტო მოსმენაზე განაცხადა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბ.გულუამ, „11 მილიონს სახელმწიფო არავის ჩამოაწერს". (იფრინდა)

დიდი საფრთხე

მესამე გვერდიდან

გეგმა კარგადაა ცნობილი საზოგადოებისთვის. დაშინების მიზნით იგი „ნეზავისიმაია გაზეთამ“ დაბეჭდა და ქართულად გამოაქვეყნა „საქართველოს რესპუბლიკამ“ (1997 წლის 27 მარტი).

„...აფხაზეთის ბლოკადის მოხსნა, ხოლო შემდეგ მისი ეკონომიკური აღორძინების ღონისძიებანი საშუალებას მოგვცემს გავაერთიანოთ მთელი არაეთნიკური ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის პოლიტიკის მიზნების გარშემო საქართველოს ხარჯზე. ხელი შეეუწყოთ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს შორის ურთიერთობის გამტკიცებას. წავაქეზოთ სეპარატისტული ტენდენციები აჭარაში. გარდა ამისა, შესაძლოა ეგრძნობინოთ ერევანს, რომ თუ საქართველო განაგრძობს ანტირუსეთულ გეზს, სომხეთი შესძლებს დე-ფაქტო შეიერთოს რეგიონი, რომელიც ცნობილია სომხურად „ჯავახეთ“-ის და ქართულად „ჯავახეთის“ სახელწოდებით“.

უფრო მკაფიოდ და ნათლად როგორღა უნდა ითქვას რუსეთის მიზნებსა და გეგმებზე საქართველოს მიმართ?

ხედავთ, რა რთული ვითარება შეიქმნა და როგორ ჩიხში მოექცა საქართველო? შეუერთდება თუ არ შეუერთდება ახალ „კავშირს“, ტერიტორიას მაინც წაართმევენ.

დასაშვებია, მკითხველმა იკითხოს – თუ საქართველოს ასეთი გარდაუვალი უბედურება ელის, როგორ უნდა მოიქცეს იგი? ამ კითხვის ნაჩქარევნაუცბათევი პასუხი არ იყარგებს. იგი მშვიდად, დაფიქრებით, მტკიცე ნებით უნდა მოიძებნოს. მაგრამ ერთი რამ უკვე ცხადია: ტერიტორიის დროებითი დაკარგვის შიშმა (ისედაც ხომ წართმეულია) საქართველო არ უნდა დააბნიოს, უგზოუკელოდ ბორიალი არ უნდა დაიწყოს (უგზოუკელო ბორიალმა და სულწასულობამ სანამდე მიგვიყვანა, დღეს ხომ ნათლად ჩანს). საქართველო არამცდაარამც არ უნდა შეუერთდეს რუსეთ-ბელორუსიის „სოიუზს“, თორემ მესამედ შეიძლება გაიჭყლიტოს რუსეთის იმპერიის ნანგრევებქვეშ.

ზემოთ სიტყვა – დროებითი – შემთხვევით არ მიხმარია. ახალი მცდელობა რუსეთის იმპერიის აღდგენისა რუსეთისათვის და იმათთვის, ვინც მას შეუერთდება. სრული კატასტროფით დამთავრდება. ამას ნურავინ ჩათვლის წინასწარმეტყველებად. ტყუილად ნუ დაიწყებს კბილების კრეჭას. ეს მარტივი შედეგია ისტორიის მსვლელობისა. კოლონიალიზმის ისტორია მე-20 საუკუნეში დამთავრდა. ოცდამეერთე საუკუნე სულ სხვა მოვლენების საუკუნე იქნება. თუ ოცდამეერთე საუკუნეში რუსეთი შეავა, როგორც კოლონიურ-იმპერიული სახელმწიფო, იგი ისევ გადაუხვევს კაცობრიობის განვითარების გზატკეცილს და უზარმაზარ უფსკრულში გადაიჩეხება, საიდანაც ამოსვლა შეუძლებელი იქნება.

რუსეთმა ერთხელ უკვე გადაუხვია კაცობრიობის განვითარების ძირითად გზას 1917 წლის ოქტომბერში. უთავბოლოდ იხეტიალა სოციალიზმის ორლობეში მანამ, სანამ სამარცხვინოდ არ დაირღვა და არ დაიშალა. თავის თავსაც და სხვასაც განუზომელი და აუწონელი უბედურებანი მოუტანა. ბევრად უფრო უარესი შედეგი ექნება რუსეთის იმპერიის აღდგენის ახალ მცდელობას.

რუსეთის ცარისტული იმპერია ძალადობას, იარაღს, ჯარს ეყრდნობოდა.

რუსეთის კომუნისტურ იმპერიას საძირკვლად სამხედრო ძალაც ედო და იდეოლოგიაც – სოციალიზმი და ათეიზმი.

დღევანდელ რუსეთს არა აქვს არავითარი იდეოლოგია. სამხედრო თვალსაზრისითაც უძლური აღმოჩნდა. ეს ცხადლივ დაამტკიცა ავღანეთმა და ჩეჩნეთმა. ორივეგან დამარცხდა. იძულებული გახდა კუდამოძუებული დაბრუნებულიყო შინ. რუსეთის თერმობირთვული იარაღი მოუვლელობისა და უპატრონობისაგან ისე დაიჟანგა და დაობდა, რომ „ზედ მუგუზალი დაადო. მაინც არ გავარდებაო“.

დაიშალა და დაირღვა რუსეთის ცარისტული იმპერია.

დაიშალა და დაირღვა რუსეთის კომუნისტური იმპერია.

თუ რუსეთის ორი იმპერია, რომელთაც ძალაც ჰქონდათ და იდეოლოგიაც, დაიშალა და დაირღვა, რაღა მოუვა ახალ იმპერიას, რომელსაც არც ძალა აქვს და არც იდეოლოგია? ცხადია, მისი ხანმოკლე არსებობა გარდაუვალი კატასტროფით დამთავრდება.

რუსეთის იმპერიის ახალი აღდგენის მცდელობა, ერთი მხრივ, გაუგონარი უგუნურებაა და, მეორე მხრივ, დიდი უბედურებით იმუქრება.

საქართველო, რამდენადაც შესაძლებელია, შორს უნდა იდგეს ამ უგუნურებისა და უბედურებისაგან.

ერეკლეული ბანკი

რჩეული ბანკირი

არის მისი ნამდვილი მეგობარი

კარგად ინფორმირებული წყაროს ინფორმაციით, სამტის 28 მარტს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მდ.ფსოუს საზღვარზე 1997 წლის 6 აპრილს ჩატარებული მიტინგის მონაწილეებმა, მიმართვა გაუგზავნეს რუსეთის პრეზიდენტს ბ.ელცინს, რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარეს ი.სტროევს, სახ.დუმის თავმჯდომარეს გ.სელეზნიოვს და როსტოვისა და სტავროპოლის ოლქების ხელმძღვანელებს. აღნიშნულ მიმართვაში ნათქვამია, რომ 1994 წლის 19 დეკემბრიდან, რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე გამოცხადებულმა ეკონომიკურმა ბლოკადამ გამოიწვია აფხაზეთის ეკონომიკის დაცემა და მრეწველობის უმოქმედობა. მიმართვის ავტორები შეშფოთებას გამოთქვამენ აფხაზეთის დისკრიმინაციის გამო, არა მარტო აფხაზეთის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რაც აფხაზური პასპორტების უგულვებელყოფით გამოიხატება. „ჩვენ არ ვართ სეპარატისტები, ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება და ვიბრძვით ნაციონალიზმისა და გენოციდის წინააღმდეგ. ჩვენ მზად ვართ შევიდეთ ღსთ-ში და ვიცხოვროთ რუსეთის ხალხებთან ერთად. განა შეიძლება ჩვენი მოწყვეტა ჩრდილო კავკასიის ხალხებისაგან?“ – ნათქვამია მიმართვაში. ავტორები თხოვნით მიმართავენ რუსეთის ხელმძღვანელობას, კარგად გაერკვნენ, ვინ არის მათი ნამდვილი მეგობარი და მოუხსნან ბლოკადა მცირერიცხოვან ხალხს. საქართველოსთან დაკავშირებით კი, ხაზგასმულია, რომ ისინი მზად არიან საქართველოსთან თანასწორუფლებიან ურთიერთობაზე. (იფრინდა)

გამსახურდიას თვითმკვლელობა სიცრუეა

ბუშინ გაიმართა ზეიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი კომისიის პირველი სხდომა. კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კერვალიშვილი. კომისიის შემადგენლობაში გაწევრიანდნენ იურისტები, ჟურნალისტები, ექიმები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

კერვალიშვილმა განაცხადა, რომ კომისიის მიზანია ზეიად გამსახურდიას მკვლელობის მდგომარეობის გარკვევა და მის მომწყობთა – XX საუკუნის დანაშაულის ავტორთა ვინაობის დადგენა. მისი თქმით, ეჭვს არ იწვევს, რომ მკვლელობის დაკვეთა მოსკოვიდან და შევარდნაძის ხელისუფლებიდან მოდის. კერვალიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და რუსეთის სპეცსამსახურები ხელს უშლიან ამ საქმის გამოძიებას, ხოლო გაერცელებული ხმები თვითმკვლელობის შესახებ აბსოლუტური სიცრუეა, რადგან გამსახურდია ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო. ეს მკვლელობა 1907 წელს კრწანისში მომხდარი ტრაგედიის – ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ტოლფასია, – განაცხადა კერვალიშვილმა.

ის, რაც მოხდა, ყოველთვის შეიძლება მოხდეს

ინტერვიუ რომან გოცირიძესთან

– რატომ ვერ მოხერხდა ამ პროცესების შეჩერება. შესაძლებელია თუ არა ანალოგიური რამის გამეორება დღეს?

– ვერ მოხერხდა ამ ვითარების შეჩერება, იმდენად, რამდენადაც ასეთი პოლიტიკით დაინტერესებული იყო უამრავი გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე თუ სახელმწიფო მოხელე და მათი გარემოცვა. ის ძალები, რომლებიც თავიდანვე წინააღმდეგი იყვნენ ასეთი პოლიტიკის, იმდროინდელ ხელისუფლებაში წარმოადგენდნენ უმცირესობას. ამასთან, ამ პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი მხოლოდ იწყებდნენ ფეხის მოკიდებას საქართველოში და მათ რეკომენდაციებს ნაკლებად თუ ჰქონდათ ზემოქმედების ძალა.

დღეს სხვა ვითარებაა. ჯერ ერთი, არსებობს ახლო წარსულის მწარე გაკვეთილი. ასეთი უარყოფითი მოვლენისაგან დაზღვევის არსებითი მექანიზმი მაინც ის არის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი აფინანსებს ქვეყნის ბიუჯეტს და ეროვნულ ბანკს და მსგავსი ქმედებების შემთხვევაში მყისვე შეწყვეტენ დახმარებას. ამ დახმარებათა გარეშე კი ხელისუფლება (ქვეყნის მოქალაქეებიც) რა მდგომარეობაში აღმოჩნდება, ძნელი მისახვედრი არ არის. ამიტომ ხელისუფლება იძულებულია შეწყვიტოს თვითშემოქმედება, (თუმცა სხვადასხვა სახის ადგილობრივი იმპროვიზაციები კვლავ შეიმჩნევა). ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ის აუცილებელი საწყისი ცოდნა, რომელიც საჭიროა საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სფეროს მართვისათვის, სწორედ ამ ორგანიზაციათა წყალობით ჩვენთან უკვე დაგროვებულია. მიუხედავად ამისა, რომ არაა საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი დახმარებების შეწყვეტის შიში, არა ვარ დარწმუნებული, რომ იგივე არ განმეორდეს, რადგან საქართველოში ხელისუფლების სტრუქტურები არ არის მყარი და პოლიტიკურ პროცესებს მართავენ არა პოლიტიკურად, არამედ კლანურად ორგანიზებული ძალები.

– არსებულმა ემისიამ საით წაიყვანა საქართველო?

– როგორც უკვე აღვნიშნე, ამ მოვლენებმა ხელი შეუწყვეს ქვეყნის უკიდურესად დასუსტებას. მის ფინანსურ შედეგებს დღესაც ვიმკით. გაცემული სესხების დიდი ნაწილი გადარიცხული იქნა რუსეთში და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებში. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი დაუბრუნდა ქვეყანას რაიმე სახის მატერიალური დოვლათის სახით, დანარჩენი უცხოთის საბანკო ანგარიშებზე აღმოჩნდა.

გადარიცხვები წარმოებდა ქვეყნებს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე (მას ტექნიკურ კრედიტს უწოდებდნენ). ეს იყო ფაქტობრივად იმ თანხების ლიმიტი, რომლის ფარგლებში შეეძლო ერთ ქვეყანას ესარგებლა მეორე ქვეყანაში საფონლის შესაძენად და ანგარიშსწორების განსახორციელებლად. წლის ბოლოს დგებოდა ბალანსი, რომლის მიხედვით საქართველო აღმოჩნდა ვალში უცლებლივ ყველა საბჭოთა ქვეყანასთან, რომელიც შემდგომ გაფორმდა როგორც სახელმწიფოს საგარეო ვალი. მასზე პროცენტებს უკვე დღესაც ვიხდით. ძირითადი თანხის დაფარვის სიძნელეები ახლო მომავალში დააწვება ჩვენს სახელმწიფოს (და შესაბამისად მის მოქალაქეებს).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არ ვიჭვრეტთ ობიექტურნი, თუ ქვეყნის იმდროინდელ ინფლაციას მხოლოდ კერძო ფირმებზე გაცემული სესხებით ეხსნით. ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბიუჯეტის დეფიციტმა (რომლის დაფარვის ერთერთი წყარო ეროვნული ბანკის კრედიტი იყო). ინფლაციის დაჭარებას ხელი შეუწყო საქართველოდან მასობრივად გატანილი საქონლის ღირებულების უკან დაუბრუნებლობამ (ფაქტიურად, არალეგალური ექსპორტი). საბანკო სისტემის მოუწესრიგებლობასა და აღრიცხვისა და კონტროლის მოშლის შედეგად საექსპორტო ამონაგები და შესაბამისად მყარი ვალუტა სხვადასხვა ფირმების საზღვარგარეთულ ანგარიშებში იქნა გადამალული.

ეს ყველაფერი სუბიექტური ფაქტორებია. იყო, რა თქმა უნდა, ისეთი ობიექტური გარემოებები (როგორც გარეშე, ასევე შიდა), რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკის დაცემაზე და ინფლაციის პროცესზე, რომლის გაუთვალისწინებლობა არ მოგვცემდა ქვეყნის ფინანსური სისტემის კრახის ზუსტ სურათს.

მიუხედავად მრავალი მიზეზისა, ძირითადი მაინც ქვეყანაში წარმოებული საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იყო. იმ რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ექვივალენტური სესხებიდან უკან საბანკო სისტემაში რეალური გამოხატულებით მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილი თუ დაბრუნდა.

– იყო თუ არა სესხების ამ გზით გატანა დანაშაული?

– დანაშაულებრივი იყო თვით საბანკო პოლიტიკა. იყო მრავალი კანონდარღვევა. რაც შეეხება ამა თუ იმ ფირმის როლს, რომელმაც ეს სესხები მიიღო, სამართლებრივად ეს საკითხი ძალზე სადაოა. მასში ძნელია დანაშაული აღმოაჩინო. ბანკი იძლეოდა შეღავათიან სესხს, ფირმა ღებულობდა მას. ეს არის იმ ბანკის კომერციული შეცდომა თუ წინდაუხედაობა, რომელმაც გასცა ამა თუ იმ ფირმაზე სესხი. კომერციული თუ სახელმწიფო ბანკები კი მაინც და მაინც თავს არ იკლავდნენ ამ რესურსების მაღალი პროცენტებით გაცემით, ვინაიდან სესხები მუქთად მოდიოდა ეროვნული ბანკიდან (ძირითადად მიზნობრივად, ამა თუ იმ ფირმისათვის). საბოლოო ჯამში ზარალდებოდა ეროვნული ბანკი, ანუ ქვეყანა, ანუ თითოეული ჩვენთაგანი, რადგან ეროვნულ ბანკს არ ჰქონდა საკუთარი მყარი სავალუტო რეზერვები და გაცემული სესხები ფაქტიურად მოქალაქეთა ჯიბიდან ამოღებული თანხები და მათი დანაზოგები იყო.

დანაშაულებრივია, რა თქმა უნდა, წინასწარი გარიგება, როცა შეთანხმებით ხდება ამ სახის სესხის გაცემა. თუმცა იმ პერიოდში უამრავი სესხი იქნა გაცემული, ასე ვთქვათ, „კეთილი მიზნით“, მაგალითად, საწვავის, ხორბლისა თუ სხვა სახის საჭინლის შემოსატანად. თუმცა, საბანკო სისტემისათვის შედეგი მაინც ერთი იყო: ინფლაციის სტიმულირება და ეროვნული ვალუტის კურსის კატასტროფული დაცემა. ამიტომ ძალზე ძნელია საუბარი ცალკეული ფირმების დანაშაულზე. წმინდა თეორიულად მათ ვერაფერში დასდებ ბრალს. აძლევდნენ სესხებს შეღავათიანი პირობით, იღებდნენ მას. თუმცა, ყველას რომ არ აძლევდნენ და ამ რჩეულთა წრეში მოხვედრას სხვა რამეც რომ სჭირდებოდა, ეს სხვა საკითხია.

– არსებობს კრედიტების ამღები ფირმების სია. ვინ დგას ამ კრედიტების უკან და ეწევიან თუ არა ისინი აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას, თუ „ჯუშინდელი დღის“ მოღვაწენი არიან?

–კრედიტების მიმღები ბანკებისა და ფირმების აბსოლუტური უმრავლესობა დღეს არ არსებობს (განსაკუთრებით ეს ეხება ფირმებს). მოხდა მათი ფერიცვალება. ფინანსური სახსრები სხვა, ახალ ფირმებში გადადინდა. ზოგიერთი, მიუხედავად დიდძალი ჭონების დაგროვებისა, მაინც გაკოტრდა. მიზეზი იყო ფინანსური რესურსების წარმომავლობა. მათზე გაბშირდა თავდასხმები როგორც ე.წ. შავი სამყაროს მხრიდან (რეკეტი), ასევე სხვადასხვა სახის სახელმწიფო სტრუქტურებისაგან. ასეთ კამპანიას მოჰყვა მრავალი პატიოსანი გზით შექმნილი ფირმების განადგურება, რადგან ეროვნული ბანკიდან წამოსული ფული უამრავ არხებით ჩაედინებოდა საძეურნეო სტრუქტურებში და ისინი ძალაუნებურად ხდებოდნენ ამ პროცესის თანამონაწილენი. სახელმწიფო და არასახელმწიფო რეკეტმა მრავალ კომერციულ სტრუქტურას მოუღო ბოლო. საბაბი ყველგან დახლოებით ერთნაირი იყო – ძირითადად, ფულადი სახსრების არალეგალური კონვერტირება (შავ ბაზარზე, ე.წ. „კავკასიის ბირჟაზე“ და მის მისადგომებთან და ა.შ.).

რაც შეეხება სესხების უკან მდგომ გავლენიან პიროვნებებს, არ მსმენია, რომ რომელიმე მათგანი კანონიერი გზით დასჯილიყო (სხვა საკითხია არაფორმალური გარჩევები). ბევრი მათგანი დღესაც დაუბრკოლებლად ეწევა თავის პოლიტიკურ თუ სამეურნეო საქმიანობას.

– რა მიზეზი არსებობდა დვალიშვილის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ?

– ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ამ პოლიტიკის აკვარგიანობა გვიან, მაგრამ მაინც ყველასათვის გახდა ცხადი. ამასთან, შეიქმნა აციოტაჟი საზოგადოებაში, პოლიტიკურ ძალებში, პარლამენტში ამ პოლიტიკის ირგვლივ. მისი განთავისუფლება აწყობდა იმ ადამიანებსაც, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ კრედიტებთან, რადგან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გამაღიზიანებელი ფაქტორი გახდა ბევრისათვის. მათთვის მუდამ იყო საშიშროება, რომ კრედიტების საქმე კვლავ თავიდან წამოწყებულიყო. ისინი ცდილობდნენ ამ თემის მივიწყებას. მათ უნდოდათ სიმშვიდე. ამიტომ შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც ყველას აწყობდა მისი განთავისუფლება. გარდა ამისა, შექმნილ ვითარებაში შეუძლებელი იქნებოდა რაიმე სერიოზული დახმარების მიღება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისაგან.

ფაქტიურად, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გამოყენებული და მოშორებული იქნა სხვადასხვა ძალების მიერ. ალბათ, სწორედ ეს იყო მისი პიროვნული ტრაგედიის მიზეზი. მისი ტრაგიკული ბედი ნათლად მეტყველებს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ზნეობრივ მხარეზე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №34.

● დისკუსია

საით მიდის საქართველო?

ბატონ ა.ჭაჭიას წერილების გამო

ნოდარ ნათაძე

ცნობილია, რომ საქართველოს ისტორია ორ ძირითად საშიშროებასთან ბრძოლის პროცესშია ჩამოყალიბებული – *აღმოსავლურ-სამხრეთულთან* და *ჩრდილოურთან*. აღმოსავლურ-სამხრეთული უფრო ძველია და მას იმთავითვე ორგანიზებული ძალის სახე ჰქონდა. ჩრდილოურს მეტ-ნაკლებად სტიქიურად მოქმედი ძალები (მომთაბარე ხალხები...) განასახიერებდნენ მანამდე, სანამ ამ არეალში ახალი მრისხანედ ორგანიზებული ძალა – რუსეთი – არ გამოჩნდა. რუსული ბატონობის ორმა საუკუნემ ქართველ საზოგადოებას დაავიწყა სამხრეთულ-აღმოსავლურ ხიფათთა არსებობაც და მათი რაგვარობაც. ბატონი ალ.ჭაჭია თავის წერილთა სერიაში სათაურით „გეოპოლიტიკა და ქართველთა ბედი" შეახსენებს საზოგადოებას ამ ხიფათებს. გარდა ამისა, იგი ნათლად და მკაფიოდ უჩვენებს მკითხველს, რომ ის ერთობლივი საშიშროება, რომელიც დღეს საქართველო იმყოფება, სამკვდრო-სასიცოცხლოა თავისი რაგვარობით. იგი საქართველოს რომელსამე ცალკე ინტერესს კი არ ემუქრება, არამედ მის თვით არსებობას. ამიტომ ამ წერილების გამოქვეყნება მე მიმაჩნია მოვლენად საქართველოს პოლიტიკური პრესისათვის. ავტორის დებულებები, რომ *დღეს „მთელი თავისი საშინელი აქტუალურობითაა გამოსახული მთავარი პრობლემა – ქართველი ერის, როგორც საკუთარი ტერიტორიის მფლობელი ეთნიკური და კულტურულ-ისტორიული ერთიანობის შენარჩუნების პრობლემა"*; *რომ არსებობს ძლიერთა ამ ქვეყნისათვის მისაღები თვალსაზრისი, – რომ არ არის საჭირო მაინც და მაინც საქართველომ და ქართველმა ხალხმა შეასრულოს რეგიონში ფუნქციონალური როლი, ამ ტერიტორიაზე სათანადო როლის შესრულებას მოახერხებენ სხვა ქვეყნები"*; *რომ ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოს ახალი, ძალზე სასტიკი გადანაწილების პერიოდში, როცა წყდება არა მხოლოდ ძლიერი ქვეყნების სუსტებზე გაბატონების საკითხი, არამედ ამა თუ იმ ხალხის, ქვეყნის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხიც კი* და *რომ „ცივილიზებული სამყარო არ დგას გადაშენების საფრთხის წინაშე, ჩვენ კი ვდგავართ"*, ცნობილი უნდა იყოს საზოგადოებისათვის, რათა მან სიბრძოლეში არ იცხოვროს.

ავტორის ამოცანა რომ მხოლოდ ამ ანალიზით ამოიწურებოდეს, მასზე კომენტარი საჭირო არ იქნებოდა. რადგან ის, რასაც ავტორი წერს, მართალია, მაგრამ ავტორს ანალიზის გარდა წარმოდგენილი აქვს (საქიქ და არა ყოველთვის, ხან პირდაპირ და ხან არაპირდაპირი ფორმით) *რეკომენდაციებიც* საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის თაობაზე. სახელდობრ, იგი მიგვანიშნებს, რომ საქართველომ არ უნდა გაიფანოს რუსეთის ჯარები თავისი ტერიტორიიდან და, საერთოდ, მეტისმეტად მკვეთრად არ უნდა დაუპირისპირდეს ამ იმპერიას და მის ზრახვებს. ეს რეკომენდაციები მიღწეულია, ერთის მხრივ, რუსეთის მხრიდან არსებულ ხიფათთა არხსენებით, მეორე მხრივ, გარკვეული უზუსტობებით (რბილად რომ ვთქვათ) სამხრეთულ-აღმოსავლურ ხიფათთა ხატვაში. წინამდებარე წერილი ძირითადად ამ უზუსტობების კორექციას შეეხება.

შევეხები ავტორის მიერ აღძრულ თემებს ცალ-ცალკე.

I. თურქეთი.

ბატონ ჭაჭიას მიაჩნია, რომ „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღიარეს თურქეთი რეგიონულ ზესახელმწიფოდ, კავკასიაზე გავლენის უფლებით" („საქართველო", №25).

ამავე დროს თვლის, რომ „საქართველოში „დასავლეთის" ქვეშ რატომღაც იგულისხმება ამერიკა, გერმანია, საფრანგეთი, თუმცა გასაგებია, რომ ჩვენთვის დასავლეთი თურქეთია და მხოლოდ თურქეთი" („საქართველო" №26).

ეს ორი დებულება, ერთად აღებული, იმ აზრს გამოთქვამს, რომ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის განვითარებულ ქვეყნებს (დღეს რომ „დასავლეთის" სახელით ვაერთიანებთ) თურქეთისათვის რწმუნება მიუციათ, საქართველოსა და კავკასიის ბედ-იღბალი დასავლეთის ბლოკის სახელით მართოს, და ამავე დროს იმის უფლებითაც აღუჭურვავთ, რომ ამ მართვაში საერთო-დასავლური (უფრო ზუსტად კი – დასავლური) ინტერესები კი არ განახორციელოს, არამედ საკუთარი კერძო ინტერესები. ამგვარი უფლების გამოყენების ნიმუშად ავტორი ახსენებს კვიპროსის ბერძნული ნაწილის ერთი სექტორის დაკავებას თურქეთის არმიის მიერ, რასაც დასავლეთმა ფაქტობრივად მხარი დაუჭირა.

ვითარების ამგვარი შეფასება ავტორის მიერ, რბილად რომ ვთქვათ, დიდ გაზვიადებას შეიცავს. თურქეთის მოკავშირეობა დასავლეთთან არც იმას ნიშნავს, რომ თურქეთი დასავლეთის ნაწილია, არც იმას, რომ იგი დასავლეთის რწმუნებულია. მოკავშირეობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თურქეთი დასავლეთთან ვადიან ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულებაში იმყოფება, რომელიც კონკრეტული ინტერესითაა განსაზღვრული და მთავრდება მაშინ, როცა ეს ინტერესი ძალას კარგავს. იმ დროს, როცა დასავლეთისა და თურქეთის დღევანდელი მოკავშირეობა ჩამოყალიბდა (II მსოფლიო ომის ბოლო ხანები), ეს ინტერესი იყო სრუტეების გადაკეტვა ხმელთაშუა ზღვისკენ სსრკ შესაძლო წინსვლის მოგერიების მიზნით. ხმელთაშუა ზღვისკენ სსრკ-რუსეთის მიწოლის შესუსტებამ, ბუნებრივია, არ შეიძლება არ შეამსუბუქოს თურქეთის ტვირთის კუთრი წონაც დასავლეთის ინტერესთა სისტემაში, ისევე, როგორც შეუძლებელია კავკასია-შუა აზიის ინტერესის გაჩენამ არ გაადიდოს იგი და ახალი ქვეყნების გამოჩენამ არეალში (უკრაინა, საქართველო, აგრეთვე თავისუფალი ბულგარეთი და რუმინეთი) არ გამოიწვიოს ამ ტვირთის გადანაწილება ამ ქვეყნებზე. თუ მიგხედავთ თურქეთისა და დასავლეთის უფრო ძველ მოკავშირეობას, აქაც საგულისხმო ანალოგიას დავინახავთ. ყირიმის ომის დროს (რომელიც ინგლის-საფრანგეთი თურქეთის დასახმარებლად ჩაებნენ) თურქეთი დასავლეთის ბუნებრივი მოკავშირე იყო: დასავლეთი სიმპათიით უყურებდა თურქეთის ანტირუსულ საქმიანობას ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც რუსეთისთვის ერთ-ერთი შორეული პლაცდარმი იყო ინდოეთისკენ შეტევისათვის. მაგრამ ამან არ შეუშალა ინგლის-საფრანგეთს ხელი ორივე მსოფლიო ომის დროს თურქეთი თავის მოწინააღმდეგედ ჩაეთვალათ და ინგლისს I მსოფლიო ომის დროს მის წინააღმდეგ დიდი ოპერაციები ეწარმოებინა, რომელთა შედეგადაც თურქეთმა თავისი იმპერიის დიდი ნაწილი დაკარგა. მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, 1920–22 წლებში ინგლისი ეხმარებოდა საბერძნეთს ომში თურქეთის წინააღმდეგ, რომელსაც, თავის მხრივ, საბჭოთა რუსეთი ეხმარებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთი გერმანიის მოკავშირე იყო (თუმცა, ომში არ ჩაბმულა). მაგრამ ომის დამლევისათვის, როცა გამოიკვეთა საბჭოთა არმიის სრუტეებისკენ შეტევის პერსპექტივა, ინგლისი და აშშ უყოყმანოდ დადგნენ თურქეთის მხარეზე და რამდენიმე წლის შემდეგ თავისი ეს პოზიცია თურქეთის ნატოში შეყვანით დააგვირგვინეს. ასე რომ, მოკავშირეობა უცვლელი მიმართება არ გახლავთ. რაც შეეხება დასავლეთის პოზიციას კვიპროსის საკითხში, იგი იმან კი არ განაპირობა, რომ თურქეთი რეგიონულ ზესახელმწიფოდ აღიარეს (სასეთი აღიარების პროცედურა, მოგეხსენებათ, არ არსებობს), არამედ საბერძნეთის მოკოფლანე-პროსაბჭოურმა პოზიციამ წლების მანძილზე, რაც დასავლეთისთვის მიუღებელი იყო კვიპროსის დიდი სტრატეგიული როლის გამო ახლო აღმოსავლეთის კონტროლის საქმეში.

დღეს დასავლეთისთვის პირველხარისხოვანი გეოსტრატეგიული ინტერესია ამიერკავკასიის ყელით გზის გაჭრა შუა აზიისაკენ (ეს ცნობილია). ბატონი ჭაჭია წერს – და სამართლიანადაც წერს, – რომ დასავლეთისთვის პრინციპში სულ ერთია, ვინ იქნება ამ ყელზე მცხოვრები და ვინ განახორციელებს მის ამ გეოპოლიტიკურ ფუნქციას – ქართველები თუ რომელიმე სხვა ერი. მაგრამ განა ეს გვაძლევს საფუძველს წამით მაინც ვიფიქროთ, რომ დასავლეთი თანახმაა, მისმა მოკავშირე თურქეთმა ამ ყელზე არა ნატოს ერთობლივი ინტერესების, არამედ საკუთარი კერძო ინტერესების განხორციელებისათვის იზრუნოს? შევნიშნოთ ფრჩხილებში, რომ დასავლეთისთვის არც ისაა სავსებით სულერთი, ძირეულად კეთილგანწყობილი მოსახლეობა და მეგობარი ქვეყნაა კავკასიის ამ ყელზე თუ დასავლეთის მოძულე ფუნდამენტალისტურად განწყობილი მოსახლეობა და დასავლეთისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნა, როგორიც დღეს ერაყი ან ლიბიაა.

ხსენებული საერთო-დასავლური ინტერესები საქართველოს ინტერესებთან, სულ ცოტა, *თავსებადი* მაინც არის (არ ეწინააღმდეგება მათ), უკეთეს შემთხვევაში კი ეს ინტერესები მთლიანად ან ნაწილობრივ *ერთურთს ემთხვევა* (ორივე მხარისთვის მომგებიანია). შეგვიძლია თუ არა იგივე ვთქვათ მსოფლიოს სხვა ძალთა ინტერესებზე ამავე რეგიონში? რუსეთის ინტერესების შესახებ ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით (მისი ინტერესები ცნობილია და, სხვა ყოველივეს რომ თავიც დავანებოთ, მათი ფორმულირება ბატონ ჭაჭიას წერილთა გამოქვეყნების შემდეგ მოგვაწოდა „ნეზავისიმაია გაზეთამ").

როდესაც საუბარი ორიენტაციას შეეხება, ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორია ის, თუ ვისთან გაქვთ *თავსებადი* ინტერესები, ვისთან *შეუთავსებელი* და ვისთან – *იგივეობრივი*. როგორც ვხედავთ, თავისი თეზისის დასაბუთებას, რომელიც დასავლური ორიენტაციის დისკრედიტაციისკენაა მიმართული (და ციტირებული იქნება ქვემოთ) ბატონი ჭაჭია აქამდე მოყვანილი მსჯელობით ვერ ახერხებს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში თურქეთის როლის ავტორისეული დახასიათება გაზვიადებას შეიცავს. მაგრამ გაზვიადება არარსებულის გამოგონება არ არის. თურქეთი, რა თქმა უნდა, პრობლემაა ჩვენი ქვეყნისათვის, ისევე როგორც ყოველი მეზობელი პრობლემაა მეზობლისათვის, და ჩვენი ინტერესია, ამ პრობლემას თვალი რეალისტურად გავუსწოროთ. ბატონი ჭაჭია ამ პრობლემასთან დაკავშირებით რამდენსამე საშიშროებას გვითითებს და რამდენიმე პრაქტიკული დასკვნა გამოაქვს. სახელდობრ:

პირველი საშიშროება: ავტორი წერს: „მეორე ასეთივე მნიშვნელობის რეგიონი არის აჭარა, რომელზეც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ფაქტიურად აღარ ვრცელდება. მაგრამ მოდის ის დრო, როცა საქართველოსადმი ფაქტიური დაუმორჩილებლობა საჭიროებს იურიდიულ გაფორმებას. და აი უკვე თურქეთში გამოიცემა წიგნები, იბეჭდება სტატიები, რომლებშიც გვიმტკიცებენ, რომ „აჭარელი ხალხი" თურქულ ეთნოსს მიეკუთვნება, ისმის მოწოდებები შეწყდეს „აჭარელთა ასწლიანი ძალადა[illegible] ტორიიდან [illegible] ნაესი [illegible] არ დაემორჩილება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას, ხომ არ იქნება ეს ამ რეგიონის რეალური გამოყოფის დასაწყისი? საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს პარლამენტი დაუბრუნდა ამ პრობლემის განხილვას სწორედ მაშინ, როცა მოსკოვში წყდება რიგი რეგიონებიდან. მათ შორის საქართველოდან ჯარის გაყვანის საკითხი. ეტყობა, ვიღაცას არ აწყობს პრობლემის უმტკივნეულო, უკონფლიქტო გადაწყვეტა, ვიღაცას ისევ სჭირდება აფეთქება, კონფლიქტი, სჭირდება სეპარატიზმის ახალი კერა საქართველოში".

მეორე (ზოგადი) დასკვნა:

„სხვათაშორის, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნატოს გაფართოების იდეის საჯარო მხარდაჭერა იმას მოწმობს, რომ აფხაზეთის დაბრუნების ამოცანა ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობამ დღის წესრიგიდან მოხსნა, ვინაიდან უკვე ზედმეტია ფიქრი რუსეთის კეთილ ნებაზე ამ საკითხში".

პირველ ციტატში მოყვანილი ფაქტი მართლაც დამაფიქრებელი გახლავთ. მეტსაც ვიტყვით. ამ ბოლო წლებში თურქეთში გამოქვეყნდა არაერთი წერილი და რუკა, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ ხელყოფას შეიცავს, და თუმცა ეს პუბლიკაციები ხელისუფლების ოფიციალურ თვალსაზრისს არ გამოხატავს, ამით მათი ხიფათი არ მცირდება, რადგან საზოგადოებრივი აზრიც ძლიერი ფაქტორია პოლიტიკის განსაზღვრაში. მაგრამ ვიდრე დასკვნას გამოვიტანდეთ რუსეთის ჯარის საქართველოდან გაყვანის საკითხზე, ვალდებულნი ვართ ორი სხვა გარემოებაც დავიმოწმოთ: ერთი ის, რომ ანალოგიური და უარესი პუბლიკაციებით სავსეა რუსული პრესაც. მეორეც, ის, რომ თურქეთს საქართველოსთან აჭეს ხელშეკრულება, რომელიც საზღვართა ხელშეუხებლობის აღიარებას შეიცავს, რუსეთს კი ასეთი ხელშეკრულება (ე.წ. ჩარჩო-ხელშეკრულება) ჯერჯერობით არა აქვს. სახელდობრ, მისი რატიფიკაციის პირობად რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის ზონის პრობლემათა მისთვის სასურველად „მოგვარებას" სახავს. ახლა ვიკითხოთ: მოხსნის ან შეასუსტებს რუსეთის შეიარაღებულ ძალთა დგომა საქართველოში აჭარის მოსახლეობის წრეში ჩვენთვის არასასურველი პროპაგანდის შესაძლებლობას? ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ვითარებაში, ის ცხადად გეტყვით, რომ კი არ მოხსნის, არამედ უსასრულოდ გააძლიერებს, რადგან იმ უცხო პროპაგანდას მაშინ მშობლიური სახელმწიფო და მისი ერი კი არ ეკრძალება მოპირისპირედ, არამედ საძულველი უცხო ტომის ოკუპანტი. დავიმოწმებთ ფაქტს. საინტერესოა, რუსეთის შესვლამ იქ ისლამური ფუნდამენტალიზმი არა მხოლოდ გააძლიერა, არამედ შექმნა. იგივე უნდა ითქვას მეორე საშიშროების შესახებ. მესხეთის მუსლიმანი ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილის დექართველიზაცია მომხდარია რუსეთის და საბჭოთა კავშირის ნებით და მხოლოდ მათი ადმინისტრაციის ფონზე. ეს ცნობილი ფაქტი გახლავთ. მისი მიზანი – ქართველი ერის დასუსტება – ახლაც ძალაშია. მაშ ვიკითხოთ: რუსეთის ჯარის დგომა საქართველოში გააძლიერებს თუ, პირიქით, გააადვილებს იმის განხორციელებას, რაზეც ავტორი წერს?

საქართველოს ტრაგიკული დემოგრაფიული სურათიც (იხ. მესამე საშიშროება) რუსეთის ოკუპაციის ეპოქაშია შექმნილი. მისი ცნობიერი მექანიზმების შესახებ ავტორს ვურჩევთ 1900-იანი წლების კავკასიური პრესის გადათვალიერებას. ასე რომ, ავტორის მიერ მითითებული მესამე საშიშროებაც ღრმავდება რუსეთის ჯარის დგომით საქართველოში და მისი აფეთქება ადგილზე ადვილი ხდება იმ ქვეყანაში, რომელსაც საკუთარი შეიარაღებული ძალა არ ჰყავს.

გაგრძელება იქნება

იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

ბინები

იყიდება 44 კვ.მეტრი ფართის ოთახნახევრიანი ბინა, თავისი სათავსოებით, ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკის) ჭუჭაზე. I სართული მანქანის სადგომით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 98-95-20

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ.№11 მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 ლარი. ტელ. 23-26-83

იყიდება 3 ოთახიანი არასტანდარტული გარემონტებული ბინა საბურთალოზე. ხვიჩიას ქუჩაზე. საერთო ფართი 140 კვ.მ, სარდაფით და ავტოფარეხით, ფასი 75000 დოლარი. ტელ.38-01-11

იყიდება 3 ოთახიანი არასტანდარტული გარემონტებული ბინა ჭავჭავაძის გამზირზე, სახელმწიფო უნივერსიტეტთან. საერთო ფართი 120 კვ.მ, ფასი 70000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება 2 ოთახიანი ბინა სოლოლაკში, ლეონიძის ქუჩაზე. საერთო ფართი 80 კვ.მ ფასი 17000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება 2 ოთახიანი კერძო ბინა საბურთალოზე, ლვოვის ქუჩაზე. 100 კვ.მ ხეხილიანი ბაღით. სარდაფით, მარნით, ავტოფარეხით. ფასი 42000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება ერთსართულიანი სახლი ეზოთი. ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის II შესახვევი №2, ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-74-97

იყიდება 3 ოთახიანი კუთხის ბინა გადაკეთებული 4 ოთახიანად. ლოჯიით. ორი დიდი აივნით და სარდაფით. საერთო ფართი 117 კვ.მ, ჭერის სიმაღლე 3 მეტრი. მეტრო „დელისთან" 10 სართულიანი აგურის სახლის მე-7 სართულზე. ფასი 70000 დოლარი. ტელ. 39-52-37

იყიდება 3 ოთახიანი არატიპიური გარემონტებული კუთხის ბინა. გარაჟი, სარდაფით. სამივე მხრიდან აივანი. 8 სართულიანის III სართულზე. ფასი 35000 დოლარი. ტელ. 37-63-01

იყიდება 3-2-1 ოთახიანი ბინები ერთ სართულზე, 8 სართულიანი სახლის მე-8 სართულზე, ორი ტელეფონით, 3 სარდაფით, საერთო ფართი 150 კვ.მ, შესაძლებელია დაშენება. ფასი შეთანხმებით. ტელ. 31-44-08

იყიდება 3 ოთახიანი ბინა ავლაბარში, ავტოინსპექციასთან. საერთო ფართი 102 კვ.მ, საცხოვრებელი ფართი 63 კვ.მ, I სართულზე, იტალიურ ეზოში. არის გარაჟი, სარდაფი. ფასი 25000 დოლარი. ტელ. 74-46-04

იყიდება 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა სამსართულიანი სახლის II სართულზე შემინული აივნით, ორი სარდაფით, ეზოში მანქანის დასაყენებელი ადგილით. ტელ. 93-31-77 ფასი შეთანხმებით.

იყიდება 1,5 ოთახიანი არასტანდარტული ბინა, წერეთლის გამზირზე. ხუთსართულიანი სახლის მე-5 სართულზე, გარემონტებული. ტელეფონით, წყლის გამაცხელებლით, ორი სარდაფით, ავტოფარეხით. ფასი 17500 დოლარი. ტელ. 34-14-13

იყიდება 1 ოთახიანი ბინა ორსართულიან სახლში, ტელეფონით. მისამართი: გუთნის ქ.№11 ტელ. 74-15-15 იკითხეთ ვალერი ან მარინა

იყიდება 3 ოთახიანი არასტანდარტული ბინა ორმხრივი მიშენებით საბურთალოს ცენტრში. საერთო ფართი 160 კვ.მ ფასი 40000 დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება 2 ოთახიანი სუფთა ბინა საერთო ფართი 65 კვ.მ, რკინის კარებით. დიდ დიღომში მე-3 მრ/ში, კორპ. 15 მე-3 სართულზე. იცვლება ან იყიდება ერთოთახიან ბინაზე ფულის დამატებით ან ორ ერთოთახიანზე. დასაშვებია დიდ დიღომშიც. ტელ. 38-08-25; 37-28-81 იკითხეთ მერი

ვიყიდი

შეეიძენ ორ ან სამოთახიან ბინას გარეუბანში მეტროსთან ახლოს. ტელ. 63-36-13

ქირავდება

ვაქირავებ 3 ოთახიან ბინაში 2 ოთახს. ბინა სუფთაა, ტელეფონით, მეტრო „პოლიტექნიკურთან" ახლოს. ფასი 150 დოლარი. ტელ. 38-64-13

სხვადასხვა

იყიდება საქსოი მანქანა „ნევა-5" ახალი. ტელ. 66-53-56

იყიდება სამზარეულო, საძინებელი და სამეული ახალი იმპორტული იაფად. ტელ. 63-36-13

იყიდება ხუთ ატმოსფეროიანი 220 ვოლტზე მომუშავე საყოფაცხოვრებო კომპრესორი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-10-50 იკითხეთ თამაზი ან მიშა

ვყიდი საკვრავ მანქანას „ზინგერს", 1892 წელს გამოშვებულს, იაფად. ტელ. 38-88-95

ვყიდი გერმანულ აკორდეონს მუქშვინდისფერს 120 ძარიანს. ძარე ოქრომარეობაში. საწყისი ფასი 200 დოლარი. ტელ. 38-88-95

იყიდება კონტეინერული ტიპის ბენზოგასამართი სადგური, საწყისი ფასი 1000 დოლარი.

იყიდება ნაყინის ჩამოსასხმელი ფრეზერი. ფასი 500 დოლარი. ტელ. 96-19-69; 38-36-47

იყიდება სასწრაფოდ ყაინფერი საწერი მაგიდა პალიროლკით. ფასი 50 ლარი. ტელ. 22-52-54 მაია.

იყიდება არაბული წარმოების სამეული ანტიკვარულ სტილში მისაღებისათვის. ფასი 950 დოლარი. ტელ. 61-25-48; 61-33-45

იყიდება დიდი საბჭოთა ენციკლოპედია. ფასი შეთანხმებით. ტელ. 66-06-96

ეისაც სურს ფორტეპიანოს აწყობა ან რესტავრაცია, დარეკეთ ტელეფონზე: 61-70-06

იყიდება ჰოლანდიური და ამერიკული მეორადი ტანსაცმელი ფუთაში (250-300 კგ) ფასი 1 კგ-ის 2,5-2,8 აშშ დოლარი. ტელ. 38-41-55

ვასწავლი

ვასწავლი გიტარაზე დაკვრას, ქართულ სიმღერებს და კლასიკას ბინაზე მისვლით. ფასი 20 დოლარი. ტელ. 29-08-81 გიორგი

შევასწავლი სიმღერების დაკვრას გიტარაზე ნებისმიერი ასაკის მსურველებს. ფასი შეთანხმებით. ტელ. 64-76-77

მოვამზადებ ნებისმიერი ასაკის მსურველს გერმანულს და რუსულ ენებში. ვთარგმნი. შეიძლება ბინაზე მისვლაც. ტელ. 34-68-10

შევასწავლი კოსმეტიკას და მანჭანაზე ბეჭდვას დაჩქარებული მეთოდით. მისამართი: ნაძალადევის რ-ნი, დადიანის ქ.№26. ტელ. 66-09-19

ვამზადებ გერმანულში სწრაფად და საფუძვლიანად. ვთარგმნი და ვბეჭდავ გერმანულ და ინგლისურ ენაში. ფასი 1 საათი – 3 ლარი. ტელ. 98-47-42

ავტომანქანა

იყიდება ავტომანქანა BMW-323. საბაჟო გადახდილია. ჩამოყვანილია 1996 წლის დეკემბერში, 6 ცილინდრიანი, ორკარიანი. 1985 წლის გამოშვება. ძრავი ახალია. 41 ათასი კმ-ის გარბენით. ფასი 3.800 დოლარი. ტელ. 99-72-48

ვულოცავთ

ჩემო საყვარელო ნინუცა!

გილოცავ 13 აპრილს, შენს დაბადების დღეს. უკვე სამი წლის გახდი და რა ბედნიერი იქნებოდა მამაშენი, რომ ეხილა შენი სიცოცხლით სავსე ცუგრუმელობა. გისურვებ ბედნიერი და ჯანმრთელი ქალი გაზრდილიყავი. გესახელებინოს ფარსადანიშვილების გვარი და ჩვენი ოჯახი.

გკოცნი შამრავს
დოდო მამიდა

ნათლიმამა
დანიელ აბაშიძეს

ვულოცავ იუბილეს. ვუსურვებ დიდხანს ჯანმრთელ, ბედნიერ სიცოცხლეს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

დალი გაჩეჩილაძე

გია ხარებაშვილს და ხათუნა ცომაიას ვულოცავთ გაბედნიერებას. ვუსურვებთ ბედნიერ ოჯახს და მრავალშვილიანობას.

გუბაზ მეგრელიძე
ოჯახით

ალექსანდრე სულაბერიძის ხსოვნას

ქ.თბილისის „დიდუბის ავტოსადგურის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ალექსანდრე (საშა) იორდანეს ძე სულაბერიძე

დაიბადა 1923 წლის 16 თებერვალს, ხონის რ-ნის მაღალმთიან სოფელ გორდში. აქვე მიიღო დაწყებითი საშუალო განათლება და დაამთავრა სოფელში არსებული ზოოვეტერინალური ტექნიკუმი. შემდეგ სწავლა განაგრძო ქ.თბილისის ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრება სამამულო ომის პერიოდში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ შეძლო. იგი იძულებული გახდა დაეწყო შრომითი საქმიანობა. წლების განმავლობაში მუშაობდა ქ.თბილისის სტუდენტთა ქალაქში სხვადასხვა თანამდებობაზე. ცხოვრების ბოლო 37 წლის განმავლობაში შრომით საქმიანობას აგრძელებდა ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსადგურებში.

ბატონი ალექსანდრე პარალელურად ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას. მისი წერილები ხშირად ქვეყნდებოდა ქართულ პრესაში.

კიდევ ერთი ღირსეული, ერთგული მეგობარი და ჭეშმარიტი მამულიშვილი, ავტოტრანსპორტელებზე უზომოდ შეყვარებული კაცი დაგვაკლდა.

ცრემლის გარეშე ვეღარავინ იხსენებს შენს სახელს. მოულოდნელმა სიკვდილმა გამოგაკლო შენს ძვირფას ოჯახს, შვილებს, მეგობრებს, ახლობლებს. შესანიშნავი მეოჯახე, საქმისთვის და მეგობრებისთვის თავდადებული კაცი, ყველას დაგვაკლდი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

ს/ს „დიდუბის ავტოსადგურის" კოლექტივი.

გახსენება



ზრდილი, თავაზიანი, კეთილი და გულისხმიერი, საიმედო მეგობარი, მოშიბლავი პიროვნება, ჭეშმარიტი ქართველი რაინდი – ასეთად დარჩება თეიმურაზ ლოგუა ახლობლების მეხსიერებაში.

იგი 1977 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პმელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში. მის სამუშაო მაგიდაზე დარჩა საკანდიდატო დისერტაციის დასაცავად გამზადებული ფუნდამენტალური ნაშრომი ტრანსპისიული ზეთების შესახებ, რომელსაც მრავალწლიანი თავდაუზოგავი შრომა შეალია. მის მიერ გამოქვეყნებული მეცნიერული შრომები და საავტორო მოწმობები ბევრ ახალგაზრდა მკვლევარს გაუკაფავს გზას ახალი აღმოჩენებისაკენ.

საოცრად ლამაზად იცხოვრე, ჩვენო საყვარელო თემური. ყველა ჩვენგანის გულში წარუშლელი კვალი დატოვე და დღეს უკვე მარადისობაში გარდასული ულამაზეს მოგონებად და ტკივილიან მონატრებად იქეცი.

მდაბლად ვხრით თავს შენი ნათელი ხსოვნის წინაშე.

მეგობრები

მურმან ედილაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, მეცნიერების და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, აკადემიკოს,

არჩილ ძიძიგურის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის რექტორის მრჩეველი, სამეცნიერო საბჭოს წევრი, აკადემიკოსი

არჩილ ძიძიგური

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს
დაგვირეკეთ ყოველდღე:
93-18-41

ჰოროსკოპი

12-15 აპრილი

აპრილის თვე აღმოსავლურ კალენდარში ცნობილია ცხენის თვედ. ეს თვე ბუნებაშიც კონტრასტულია თავისი დინამიკით, დნება თოვლი, რაც წყალდიდობებს იწვევს, მაგრამ შეიძლება ისევ აცივდეს და მოთოვოს. არ დაგავიწყდეთ მარტისაგან ნასესხები სამი დღეც – 13-14-15 აპრილი, რომელიც შეიძლება ისე დაგიტაცებთ, თავი დაგაკარგინოთ და შეიძლება ისე ახირდეს, რომ თავ-ბედი გაწყვეტინოთ. 12 აპრილს კი დედამიწის მაგნიტური ველი გააქტიურებულია, რადგან ეარსკვლავთცვეთნაა მოსალოდნელი. ამიტომ ამ დღეს ყველა დისკომფორტს განიცდის. აპრილი, საერთოდ, ადამიანთა გუნება-განწყობაზე ძალიან მოქმედებს. ერიდეთ სტრესებს; ნუ გამოიჩენთ აგრესიულობას; იფიქრეთ, რომ წინ გაზაფხულია, სითბო, სინათლე- მომავლის იმედი გქონდეთ. ამ დროს ხშირია თავის ტკივილები; ნეიროზული მდგომარეობის გაუარესება; ყურადღება მიაქციეთ წნევას და გულს.

ვერძი – შაბათს მუშაობა მოგიწევთ და მისი დასრულების შემდეგ იძულებული იქნებით საოჯახო საქმეებს მიხედოთ.

ჯარო – შემთხვევით. სასარგებლო საქმიანი საუბარი გექნებათ, რომლის შემდეგაც მოგიწევთ თქვენთვის უჩვეულო საქმის ან ცოდნის დაუფლება.

ტყუპები – სასიყვარულო, ყოველისწამლეკი დღეების შემდეგ მომავალი კვირის ორშაბათ-სამშაბათს თვითანალიზს და საკუთარი მე-ს ძიებას დაიწყებთ.

კიბო – უამრავი საქმის შემდეგ მიელინებაში გაემგზავრებით.

ლომი – სიხარული გეწვევათ და ფილოსოფიურ განწყობაზე დაგაყენებთ.

ქალწული – საქმიანი საუბრები, სასარგებლო ხელშეკრულებები გრძელდება. ეცადეთ არ გადაიღალოთ.

სასწორი – უეცრად გაგიმართლებთ, ორშაბათიდან კი საქმე მოგემატებათ, მაგრამ არა უშავს, ეს თქვენთვის მომგებიანია.

ღრიანკალი – თქვენ გიყვართ ახალი სიტუაციები. ახალი ხალხი. ახლა კი აუცილებელია ახალი საგნის ცოდნაც; ნუ დაიზარებთ, ისწავლეთ.

მშვილდოსანი – რა არის ეს ცუდ ხასიათზე ყოფნა? ოჯახური წვრილმანი საქმეები მაინც გააკეთეთ.

თხის რქა – ეცადეთ მოერიდოთ დეპრესიას. მიხედეთ ჯანმრთელობას; ლოთობა და ტრანკვილიზატორები ხომ ხედავთ, არ გშველით. უძილობა თავისით გაიელის, იქნებ რაიმე ახალი საქმე დაგეწყოთ? კარგი იქნება, თუ შენეული ადგილიდან სადმე გაემგზავრებით.

მერწყული – სასიყვარულო ალმაფრენა გრძელდება, მაგრამ ორშაბათ-სამშაბათს ეცადეთ უარყოფითი ემოციები შეაჩეროთ. ოტელ, გაფრთხილდით. თორემ თქვენი თავშეუკავებლობა ავად გაგხდით; ჩვენს დროში დეზდემონები თავს არ ახრჩობინებენ, კარატეს სწავლობენ.

თევზები – აქტიური დასვენება. მოგზაურობა. სწავლა. ახლის შეცნობა. აი. ესაა თქვენთვის აპრილის საჩუქარი.

ლატარეა ყველასათვის

11 აპრილს გამართულ მორიგ ჩირაქში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

5000 ლარი – №771361;
1000 ლარი – №616482;
900 ლარი – №488151;
800 ლარი – №303254;
700 ლარი – №163621;
600 ლარი – №177699;
500 ლარი – №692632;
400 ლარი – №794787;
300 ლარი – №683518;
200 ლარი – №412505;
100 ლარი – №111674;
90 ლარი – *73073;
80 ლარი – *33904;
70 ლარი – *14801;
60 ლარი – *75822;
50 ლარი – *16752;
40 ლარი – *68161;
30 ლარი – *45541;
25 ლარი – *67148;
20 ლარი – *54490;
10 ლარი – ***640;
10 ლარი – ***209;
10 ლარი – ***080;
10 ლარი – ***211;
10 ლარი – ***376.

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეთოთხმეტე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე. 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე

– 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის XIV ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **4569** გათამაშებაზე შეუძლიათ 18 აპრილს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

აუტომანქანა **ВАЗ-2109** მოიგო ლატარიის ბილეთმა №**663722**. მინი-ტრაქტორი მოიგო ლატარიის ბილეთმა №**546296**

● *რა გაღავიტანეთ...*

მკვლელობა ჯორჯიაშვილზე

11 აპრილს უზენაეს სასამართლოში აეთანდილ წულუკიანის თავმჯდომარეობით „თეთრი გიორგის“ წევრების, 1972 წელს დაბადებულ ირაკლი ცაბაძის, 1974 წელს დაბადებულ გიორგი გარსიაშვილის, 1982 წელს დაბადებულ ლევან გაბუნიას და 1974 წელს დაბადებულ თამაზ ცაბაძის სასამართლო პროცესი გაიმართა. განსასჯელებს ბრალად ედებათ გიორგი თაკაძის, ოლეგ კოჟუხოვის და გიორგი მოსეშვილის განზრახ მკვლელობა და იარაღის უკანონო შენახვა-ტარება.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ყველაფერი ასე დაიწყო: თამაზ ცაბაძემ აფხაზეთში ომის დროს მოკლულ აფხაზს აართვა „მაკაროვის“ პისტოლეტი, ჩამოიტანა თბილისში და სახლში ინახავდა. ამის შესახებ გაანდო მეგობარს – გიორგი თაკაძეს. ამ უკანასკნელმა ითხოვა პისტოლეტი და სანაცვლოდ „აკმ“-ის სისტემის ავტომატი დაუტოვა. თაკაძე დასავლეთში წავიდა. თამაზის ძმამ, ირაკლი ცაბაძემ, შეამოწმა ავტომატი და აღმოჩნდა, რომ ის მხოლოდ ერთჯერადი რეჟიმით ისროდა, რის გამოც 1993 წლის 8 ნოემბერს დასავლეთიდან ორი დღის ჩამოსულ გიორგი თაკაძეს მოთხოვა „მაკაროვის“ უკან დაბრუნება და დაუტოვა „აკმ“-ის ავტომატი. თაკაძე შეპირდა, რომ ხვალ დაგიბრუნებ „მაკაროვსო“.

9 ნოემბერს, დაახლოებით 18 საათზე ირაკლი და თამაზ ცაბაძეებთან სახლში, სადაც იმყოფებოდა მათი მეგობარი გიორგი გარსიაშვილი, მოვიდა ლევან გაბუნია „მოსკვიჩით“, რომლითაც მეომრები დისლოკაციის ადგილზე უნდა წაეყვანათ. გადაწყვიტეს გაეცლოთ თაკაძესთან „მაკაროვის“ გამოსართმევად. მეტრო „რუსთაველთან“ მათ შეხვედათ თანამებრძოლი ნიკუშა ბადაგაძე ყვავილებით ხელში (სახლში წვეულებაზე მიეჩქარებოდა). ჩასვეს მანქანაში და მივიდნენ თაკაძის სახლთან, იცაბაძემ და გგარსიაშვილმა დაუძახეს გ.თაკაძეს, ქვემოთ ჩამოსულიყო. გ.თაკაძეს გამოყენენ მასთან მყოფი ო.კოჟუხოვი და გ.მოსეშვილი. გ.თაკაძემ უარი თქვა იარაღის დაბრუნებაზე და დასძინა, რომ მაგ იარაღებსაც წაგართმევთ, თუ ჭკვიანად არ იქნებითო, აქ რას მირჩევთ საქმეს, უბანში ჩავიდეთო. ამის შემდგომ გ.თაკაძე და გ.მოსეშვილი ჩასხდნენ ო.კოჟუხოვის ვაზ „2106“-ში. „თეთრი გიორგის“ წევრები კი „მოსკვიჩით“ უკან გაყვნენ თავისუფლების მოედნისაკენ მიმავალ ვაზ „2106“-ს. მალე ბადაგაძე „მოსკვიჩიდან“ ჩამოვიდა და სახლში წავიდა.

გზაში გარსიაშვილმა უთხრა მანქანაში მსხდომთ, რომ ამათ შეიძლება მართლა წაგვართვან იარაღი და მოგკვლანო. ამიტომ სჯობს ჩვენ დავასწროთ და დავხოცოთო. ავტომატები გადატენეს, ჩამოსწიეს „მოსკვიჩის“ მარჯვენა კარის მინა, გადაუსწრეს სწრაფი სვლით რუსთაველიდან ჯორჯიაშვილის ქუჩაზე მიმავალ „2106“ და გახსნეს ავტომატებიდან ცეცხლი. საჭესთან ლევან გაბუნია იჯდა. ტყვიის ჭურვებმა დააზიანა, როგორც მანქანა, ისე შიგ მსხდომნი, ვინაიდან მანქანამ მიმართულება დაკარგა და ხეს შეეჯახა. მოგვიანებით „არამიანცის“ საავადმყოფოში გიორგი თაკაძე, ოლეგ კოჟუხოვი და გიორგი მოსეშვილი გარდაიცვალნენ.

1993 წლის 4 დეკემბერს კომენდანტის საათის დარღვევისთვის ირაკლი, თამაზ ცაბაძეები და გაბუნია დააკავეს, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ. მოგვიანებით, 5 დეკემბერს, როდესაც ისინი გაანთავისუფლეს, მათ კომენდატურასთან დახვდნენ გამოძიებისათვის დაუდგენელი, შეიარაღებული პირები, გაიტაცეს ისინი მათთვის უცნობ ადგილზე, აწამეს და აღიარებინეს ჩადენილი დანაშაული. 1995 წლის 10 მაისს კი გიორგი გარსიაშვილი დააკავეს.

განსასჯელები თავს დამნაშავედ არ ცნობენ და ბრალდებას კატეგორიულად უარყოფენ.

სასამართლო პროცესი გრძელდება.

ია ბუკოვსკაია

ხანძარი მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში

ბუშინ, დილის 06.06 საათზე ხანძარი გაუჩნდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის ბუტაფორიების დამამზადებელ სახელოსნოს. თბილისის სხვადასხვა რაიონებიდან შემოსულ ადგილზე მივიდა 14 სახანძრო მანქანა. 06.25 საათისათვის ხანძარი ლოკალიზებულ იქნა, ხოლო მისი ლიკვიდაცია 06.35 სთ-ზე მოხდა. დაიწვა 30 კვ.მეტრის ფართობი. ხანძრის გამომწვევი მიზეზები დგინდება.

სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში თეატრის დირექტორმა ცისანა ჯანაშიამ განაცხადა, რომ ხანძრის შედეგად განადგურდა ბუტაფორიებისა და თოჯინების დამამზადებელი სახელოსნოს მთლიანი მოწყობილობა (5 საჩარხი დაზგა) და დეკორაციები, რომლებიც ამავე საამქროში ინახებოდა. მისივე თქმით, ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალი დგინდება. (იფრინდა)

როცა მოსწავლეები ხუმრობენ

შსს-ს პრეს-ცენტრის ცნობით, გუშინ თბილისის ჩულურეთის რ-ნში მდებარე 37-ე სკოლის დირექტორს უცნობმა პირებმა დაურეკეს და აცნობეს, რომ სკოლა დანაღმულია და ცოტა ხანში აფეთქდება. აღნიშნული ინფორმაციის მიღებისთანავე რაიონულმა პოლიციამ მენაღმეებთან ერთად გასინჯა სკოლის ყველა სართული. სკოლაში ნაღმები არ აღმოჩნდა. ამჟამად მენაღმეები სკოლის მიმდებარე ტერიტორიას ამოწმებენ. არის ვერსია, რომ სკოლის მოსწავლეებმა საპირველაპრილო ხუმრობა 11 აპრილს განახორციელეს. (იფრინდა)

თბილისში ოპიუმის რეალიზატორები დააკავეს

შსს-ს ნარკომანიასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს რუსთავში მცხოვრები ვაჟა სადოიანი, ჯემალ ტამოიანი და ნაზიმ გაჯიევი. მათ ჩამოერთვათ 160.4 გრამი ოპიუმი და Ф-1-ის ტიპის ხელყუმბარა. (ბი ჯი აი)

მაყირვორდი



მიწოლილად: 3. შაბათის „ილუზია“; 7. მადაზიის „დასახლელი“. ადგილი; 8. „შურისმაძიებელი“ მხარე სვანეთში (რუს.კავშ.); 9. „კანადაში“ მოკლული აშშ-ს პრეზიდენტი; 11. მამელუქის „ცეცხლმოკიდებული“ მამობილი „ბეგი“; 13. მომღერალთა ჯგუფ „აბას“ საჭყუმპალაო ვანა; 15. „ენებასთან“ ერთად დატანებული „აზრი“ ანუ პირიქით; 17. „ორი ანის“ დასაკერელი ინსტრუმენტი; 18. ძველი „ტოების“ საყვარელი იტალიელი მომღერალი; 19. ერთკეცა და ორკეცა შაბათს შუა მდგარი დღე; 21. „ბერიკაშვილის“ გვარის ფუძესთან მდგარი „კაცი“; 23. „შიდა“ მოურჩენელი ვირუსი; 25. „ბრინჯიანი“ დიდებული საქმე (რუს.კავშ.); 27. „სონას სანეტარო“ მუსიკალური ნაწარმოები; 28. „კატის კნაილზე“ შეშინებული ჩინეთის „დუნიაზე“ მოსიარულე ხელმძღვანელი „პაპა“ (რუს.ნაწ.კავშ.); 29. „კუების რაციით“ გამოძახებული სასწრაფო; 30. „ერეკლეს მალე“ დასაკლავი საქონელი.

მდგომიარედ: 1. თუთის „მაზიანი“. ტკბილი და „ბაქია“ ბადაგი; 2. „საალბათოდ“ დასაშვები მათემატიკის თეორია; 4. ცხოველი. რომელიც ვერ აღზარდა პატიოსნად კატამ (მულტ.); 5. რა ვერ გაიყვეს ამირანმა და გრამიტონმა (სიმღ.); 6. „ოლიას მეოთხე მუსიკალურ ნოტზე დაბოლოებული“ ზეთი; 9. „კანზე“ შემოვლებული არშია; 10. კაცის „სამი ბოლიანი“ სახელი (რუს.კავშ.); 12. პატარა ნიკას პატარა „სინთეზატორი“; 14. „ზერებში“ დასალევი გაზიანი წყალი; 16. „აბრაზე“ გაკრული ფირალი; 18. „ზაფხულის“ საპირფარეშო (რუს.კავშ.); 20. „სულის“ მოამბე ქალაქი აზიაში (რუს.კავშ.); 22. მანქანის ნაწილი, რომელმაც რეს „ნაგავი“ დაუყარა (რუს.კავშ.); 24. ბანკი, რომელსაც ვერაფერი შეაერებს; 25. „რინგო“ სტარის საყვარელი სცენა; 26. ასტროლოგიური ნიშნის მქონე საყვარელი.

კოზა გაიდოშვილი

ნინა ქაიფვორდის პასუხები

თარაზულად: 4. შაქარა; 6. ლიანა; 8. კანიბალე; 9. რეტრო; 11. ხაში; 12. დიქტატორი; 14. ინდი; 15. ეთერი; 18. მილიონი; 19. სარფი; 20. არმაზი; 23. ორდალია; 24. დინი; 27. ბალადა; 28. იღლია; 32. ხეირი; 33. აფთარი; 36. დეზერტირი; 37. ღიპი; 38. ანარა.

შვეულად: 1. ჯაგრისი; 2. მიხაკი; 3. მინა; 4. შარიათი; 5. ქარბორბალა; 6. ლომი; 7. აბატი; 8. კიტრი; 10. სინემა; 11. ხათრი; 12. დარიოსი; 13. ტოლიატი; 16. პიანოლა; 17. ოფოფი; 21. გორილა; 22. ბადრი; 25. მარქაფი; 26. ქარავანი; 29. ღიმი; 30. სახრე; 31. ნიორი; 34. ილია; 35. ევნა.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444